პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის მე-40 წელი | № 281 (11587) | ოთხშაბათი, 2 დეკემბერი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

## ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

### უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ყრილობაზე

ბუდაპეშტი, 1 დეკემბერი. (საკდესი). დღეს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის VII ყრილობის მუშაობის მეორე დღეს დილის სხდომა დაიწყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლით.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა, რომელიც დაახლოებით საათნახევარს გაგრძელდა, უდიდესი ყურადღებით მოისმინეს ყრილობის დელეგატებმა და სტუმრებმა და არაერთხელ შეაწყვეტინეს მქუხარე ტაშით.

თავისი სიტყვის დასასრულს ნ. ს. ხრუშჩოვმა გამოაქვეყნა ტექსტი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებისა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის VII ყრილობისადმი.

მისალმების დასკვნითმა სიტყვებმა დამსწრეთა მქუხარე, ხანგრძლივი ტაში გამოიწვია. ყველანი ფეხზე დგებიან. როცა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი ტრიბუნიდან ავიდა თავის ადგილზე და მეგობრულად გადაეხვია იანოშ კადარს, ახალი ძალით გაისმა ტაში.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ დაიწყო განხილვა იანოშ კადარის საანგარიშო მოხსენების და იენე ფოკის მოხსენებისა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების შესახებ.

# ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

## უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის VII ყრილობაზე

### 1959 წლის 1 დეკემბერს

ამხანაგებო, მეგობრებო!

ნება მიბოძეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ყველა კომუნისტისა და უპარტიო მშრომელის სახელით გულითადი ძმური სალამი გადმოგცეთ თქვენ — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის მეშვიდე ყრილობის დელეგატებს და თქვენი სახით ყველა უნგრელ კომუნისტს, აგრეთვე უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მუშებს, გლეხებსა და ინტელიგენციას! (მქუხარე ტაში).

მინდა სულით და გულით მადლობა ვუძღვნა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს იმისათვის, რომ თქვენს ყრილობაზე მოიწვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია და შესაძლებლობა მოგვცა გამოვსულიყავით ყრილობის ტრიბუნიდან.

თქვენი პარტიის ყრილობას, რომლის განსახილველად დასმულია სახალხო უნგრეთში სოციალიზმის მშენებლობის უმნიშვნელოვანესი საკითხები, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცხოვრებაში, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ცხოვრებაში.

უკანასკნელი ყრილობის დროიდან გასული ხუთი წელი რთული პერიოდი იყო თქვენი პარტიისა და ქვეყნის განვითარებაში. უნგრელმა კომუნისტებმა დიდი სიძნელეები და განსაცდელი გაიარეს, მაგრამ ვერაფერმა ვერ გატეხა მათი ნება სოციალიზმისათვის ბრძოლაში. უნგრეთის სოციალისტურმა მუშათა პარტიამ თავის რიგებში დარაზმა მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ერთგული ძალები და განაგრძო უნგრეთის კომუნისტური მოძრაობის საუკეთესო ტრადიციები, კიდევ უფრო გამოიწრთო კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში, დაიცვა და განამტკიცა მუშათა კლასის დიქტატურა, მშრომელთა ხელისუფლება და ამჟამად წარმატებით წყვეტს სოციალიზმის მშენებლობის ამოცანებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, ყველა კომუნისტს ახარებს თქვენი პარტიის, უნგრელი ხალხის შესანიშნავი წარმატებები, რომლებიც მოპოვებულია ახალი ცხოვრების მშენებლობაში განსაკუთრებით უკანასკნელი სამი წლის მანძილზე კონტრრევოლუციური ამბოხების განადგურების შემდეგ.

ყრილობაზე ამხანაგ იანოშ კადარის მკაფიო მოხსენებაში მოცემულია განვლილი გზის ღრმა ანალიზი და განსაზღვრულია ამოცანები, რომელთა განხორციელება სახალხო უნგრეთში სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებისათვის ბრძოლაში უმნიშვნელოვანესი ეტაპის მომასწავებელი იქნება. წარმატებები, რომლებზეც ლაპარაკია ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში მრეწველობის განვითარების, სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და სოციალისტური გარდაქმნის, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების დარგში, მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის, მთელი ხალხის მჭიდროდ შეკავშირებაში, ცხადყოფენ მარქსიზმ-ლენინიზმის დიად სასიცოცხლო ძალას, თქვენი პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის სწორ ხელმძღვანელობას უნგრელი ხალხის ერთგული შვილის ამხანაგ იანოშ კადარის მეთაურობით. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

როცა გუშინ ვუსმენდი ამხანაგ კადარისა და ამხანაგ ფოკის მოხსენებებს, ჩემზე განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა იმან, რასაც ისინი ამბობდნენ თქვენს უმნიშვნელოვანეს მიღწევებზე უნგრეთის სოფლის მეურნეობის სოციალისტური განვითარების დარგში. ეს ძალიან დიდი საქმეა, ამხანაგებო. ჩვენ ეს კარგად ვიცით ჩვენი გამოცდილებით.

ჩვენც შევხარით იმ წარმატებებს, რომლებიც გვაქვს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებაში უკანასკნელი წლების მანძილზე. მე მინდა მოვიყვანო აქ რამდენიმე მონაცემი, რომელიც კარგად გვიჩვენებს, თუ რას მივაღწიეთ ჩვენ ამ წლების განმავლობაში, როგორ გაიზარდა ჩვენში საქონლიანობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების საფუძველზე, მკვეთრად გადიდდა სახელმწიფო დამზადება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვა.

თუ 1948-დან 1953 წლამდე საშუალოდ წელიწადში ჩვენ ვამზადებდით 2 მილიარდ ფუთ მარცვლეულს, უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ყოველწლიურად ვამზადებდით საშუალოდ 3 მილიარდ ფუთს.

ხორცის სახელმწიფო შესყიდვა 1953 წლის 3 მილიონ 600 ათასი ტონიდან გაიზარდა 5 მილიონ 700 ათას ტონამდე 1958 წელს. წელს ჩვენ შევისყიდით დაახლოებით 7,5 მილიონ ტონა ხორცს, ესე იგი ერთიორად და კიდევ მეტს, ვიდრე 1953 წელს.

რძის დამზადება 1953 წლის 10 მილიონ 600 ათასი ტონიდან გადიდდა 22 მილიონ 100 ათას ტონამდე 1958 წელს. წელს ჩვენს ქვეყანაში გათვალისწინებულია 25 მილიონი ტონა რძის, ანუ თითქმის ორნახევარჯერ მეტის შესყიდვა, ვიდრე 1953 წელს.

ერბო-კარაქს 1953 წელს ჩვენი ქვეყანა აწარმოებდა 497 ათას ტონას, ხოლო 1958 წელს — 779 ათას ტონას. წელს წარმოებულ იქნება 845 ათასი ტონა ერბო-კარაქი, ანუ დაახლოებით 75 პროცენტით მეტი, ვიდრე 1953 წელს.

მკვეთრად გადიდდა კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი. თუ 1953 წელს იგი შეადგენდა 49 მილიარდ 600 მილიონ მანეთს, 1958 წელს იგი გადიდდა 132 მილიარდ მანეთამდე, ანუ ორნახევარჯერ და მეტად.

სოფლის მეურნეობის განვითარებაში ასეთსავე შესანიშნავ წარმატებებს აღწევს ყველა სოციალისტური ქვეყანა, რომლებიც ახორციელებენ მარქსიზმ-ლენინიზმის დებულებებს სოფლის მეურნეობის განვითარების სოციალისტური გზის, სოფლის სოციალისტური გარდაქმნის შესახებ.

ჩვენ მუდამ ხალისით ვუზიარებდით და ვუზიარებთ მოძმე ქვეყნებს ჩვენს გამოცდილებას, ჩვენს მიღწევებს ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებაში და გულწრფელად გვახარებს ჩვენი მეგობრების წარმატებები.

ჩვენი ქვეყნის, სოციალიზმის სხვა ქვეყნების სოფლის მეურნეობის სოციალისტური განვითარების გამოცდილება დამაჯერებლად მოწმობს, რომ გლეხობა მხოლოდ იქ მკვიდრდება მიწაზე და სოფლის ცხოვრება მხოლოდ იქ ხდება უფრო კულტურული, მატერიალურად უზრუნველყოფილი ფართო მასებისათვის, სადაც გლეხობა ადგას განვითარების სოციალისტურ გზას. სოფლად სოციალიზმის დამკვიდრებას მატერიალური და კულტურული ცხოვრების სიკეთე მოაქვს გლეხობის მასებისათვის.

სწორედ ამიტომ ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა იმან, რასაც გუშინ თავიანთ მოხსენებებში ამბობდნენ ამხანაგები კადარი და ფოკი თქვენს წარმატებებზე სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

ვფიქრობ, ძვირფასო ამხანაგებო, რომ თქვენ სწორად გამიგებთ და არ დამძრახავთ, თუ გამოვთქვამ ჩემს აზრს ზოგიერთ საკითხზე, რომლებსაც თქვენს ყრილობაზე განიხილავთ. იმედი მაქვს, რომ ჩემს ნათქვამს არ მიიჩნევთ თქვენს საშინაო საქმეებში ჩარევად. (გამოცოცხლება დარბაზში, მქუხარე ტაში). ჩვენ კარგად გვესმის, რომ მოხსენებაში აღძრულ ყველა საკითხს პარტიის ყრილობა წყვეტს. ჩემი ნათქვამი ჩვენი მეგობრის ამხანაგ იანოშ კადარის მოხსენების შესახებ გთხოვთ მიიჩნიოთ ისე, რომ ეს არის თქვენი სტუმრისა და მეგობრის აზრი, რომელიც თქვენ რაიმე ვალდებულებას არ გაკისრებთ. (ტაში).

თავისი პრინციპული, მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკის მეოხებით თქვენმა პარტიამ დიდი ნდობა და სიყვარული მოიპოვა უნგრელ ხალხში, რომელსაც იგი მიაჩნია თავისი ინტერესების გამომხატველად და დამცველად. თანმიმდევრული ბრძოლით მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდისათვის, რევიზიონიზმისა და დოგმატიზმის წინააღმდეგ, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და სოციალისტური ბანაკის ერთიანობისათვის, უნგრეთის სოციალისტურმა მუშათა პარტიამ დამსახურებული პატივისცემა მოიპოვა საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში, რომლის საიმედო რაზმიც იგი არის.

ძვირფასო ამხანაგებო! კომუნისტური და მუშათა პარტიების ძალა იმაშია, რომ ისინი, ხელმძღვანელობენ რა ლენინური პრინციპებით, ფხიზლად და ობიექტურად აფასებენ ცხოვრების მოვლენებს, პირდაპირ და აშკარად ეუბნებიან ხალხს სიმართლეს როგორც წარმატებების, ისე სიძნელეებისა და შეცდომების შესახებ. ამბები, რომლებიც 1956 წელს მოხდა უნგრეთში, სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა უნგრეთის მუშათა კლასის, გლეხობისა და მთელი მშრომელი ხალხის ყველა მონაპოვრისათვის. კონტრრევოლუციური ამბოხების ორგანიზატორებს სურდათ ლახვარი ჩაეცათ სოციალიზმისათვის, სისხლში ჩაეხრჩოთ სახალხო ხელისუფლება. ეს იყო ამბები, რომლებიც უდავოდ ალაფრთოვანებდა კომუნიზმის ყველა მტერს. ისინი უკვე ყლაპავდნენ ნერწყვს, რადგან ეს ამბები მიაჩნდათ კომუნიზმის კრახის დასაწყისად. (გამოცოცხლება დარბაზში).

მაგრამ ასე შეეძლოთ ეფიქრათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც ან მეტად გაბოროტებული არიან კომუნიზმის წინააღმდეგ და ამიტომ მოკლებული არიან საღ გონებას, ან ისეთ ადამიანებს, რომლებიც ცდებიან და არ ესმით კომუნისტური მოძრაობის ძალა. უნგრეთის კონტრრევოლუცია და მისი უცხოელი სულისჩამდგმელები მხილებულ და განადგურებულ იქნენ. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების მკაფიო ძალა და უნგრეთის მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობის ერთგულება ამ იდეებისადმი სწორედ კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩნდა.

ჩაიფუშა იმპერიალისტთა ის ვარაუდი, რომ უნგრეთში დამარცხდებოდა სოციალიზმი. გაკოტრდნენ არა კომუნიზმის იდეები, არამედ მხოლოდ ის ხელმძღვანელები, რომლებმაც დაივიწყეს მარქსიზმ-ლენინიზმის წმიდა დებულებანი, არ ხელმძღვანელობდნენ ამ დებულებებით. ასეთი ვაი-ხელმძღვანელები მოსწყდნენ მასებს, დაიწყეს მბრძანებლობა მასებისადმი. თავიანთი არასწორი მოქმედებით ისინი მუშათა კლასის დიქტატურას ხშირად მშრომელი ხალხის მტრების წინააღმდეგ კი არ იყენებდნენ, არამედ თავისიანებს სცემდნენ. დაწინაურდნენ რა ხელმძღვანელებად, მათ ვერ შეძლეს სწორად გამოეყენებინათ ძალაუფლება, არ განამტკიცებდნენ მუშათა კლასის დიქტატურას, მშრომელი ხალხის ძალაუფლებას, ცეცხლს უშენდნენ თავისიანებს და ლახვარს სცემდნენ რევოლუციურ ძალებს. ეს იყო სწორედ ასეთ მოღვაწეთა დამარცხების დასაწყისი.

მაგრამ ჩვენ, მარქსისტებმა, უნდა ვიცოდეთ ამბების პრინციპული ანალიზი, ვხედავდეთ მათს მიზეზებს და გამოგვქონდეს სწორი დასკვნები.

არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ თუ კონტრრევოლუციამ მოახერხა თუნდაც მოკლე ვადით გამოეწვია არეულობა უნგრეთში, ეს ცოტათი როდი აიხსნება იმით, რომ უნგრეთის მშრომელთა პარტიის ყოფილმა ხელმძღვანელობამ და უწინარეს ყოვლისა მატიას რაკოშიმ ჩაიდინეს სერიოზული შეცდომები, რომლებმაც გამოიწვია პარტიის ხელმძღვანელი როლის შესუსტება, პროლეტარიატის დიქტატურის შესუსტება.

თუ ხალხმა პარტიას მიანდო ქვეყნის ხელმძღვანელობა, ეს არათუ არ ათავისუფლებს მის ხელმძღვანელებს მასებთან კავშირის განმტკიცებისათვის ზრუნვისაგან, არამედ, პირიქით, ავალებს მათ იჩენდნენ განსაკუთრებულ გულისხმიერებას მასების მოთხოვნილებებისადმი, მუდამ ამოწმებდნენ მათი გამოცდილებით პარტიის პოლიტიკის სისწორეს.

უნგრეთის მშრომელთა პარტიის ყოფილმა ხელმძღვანელებმა მათთვის გაწეული ნდობა მიიჩნიეს, როგორც პარტიული და უპარტიო მასებისაგან დამოუკიდებლობის ერთგვარი მანდატი, თავი ისე წარმოიდგინეს, რომ შეუცდომელი არიან, რომ მათთვის ყველაფერი ნებადართულია და რომ მათ შეუძლიათ ანგარიში არ გაუწიონ არც ობიექტურ პირობებსა და არც მშრომელთა აზრს. დარწმუნებას, როგორც მასებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ძირითად მეთოდს, ცვლიდნენ მბრძანებლობით და ადმინისტრირებით. უნგრეთში ობიექტური ვითარების თავისებურებათა უგულებელყოფამ გამოიწვია სერიოზული შეცდომები ეკონომიურ პოლიტიკასა და სახელმწიფო და პარტიული მშენებლობის სხვა დარგებშიც.

ისეთ რთულ საქმეში, როგორიც არის სოციალისტური მშენებლობისადმი ხელმძღვანელობა, შეცდომებისაგან არავინ არ არის დაზღვეული. მაგრამ უნდა იქონიო მამაცობა არ შეუშინდე დაშვებული შეცდომების აშკარად აღიარებას და დროზე გამოასწორო ისინი. სამწუხაროდ, უნგრეთის მშრომელთა პარტიის ყოფილმა ხელმძღვანელობამ ვერ გამოიჩინა ასეთი მამაცობა. გაჭირვებით აღიარეს რა მათ მიერ დაშვებული შეცდომები, მათ არაფერი არ გაუკეთებიათ იმისათვის, რომ გამოესწორებინათ ისინი.

ხელმძღვანელობის არასწორი, მცდარი მეთოდების შედეგად დაირღვა პარტიისა და მშრომელთა ფართო მასების ნორმალური ურთიერთობა, ძირი გამოეთხარა მასების ნდობას პარტიისადმი, რითაც ისარგებლეს თავიანთი ბინძური მიზნებით კონტრრევოლუციის ძალებმა და მათმა აგენტურამ რევიზიონისტების სახით, ისარგებლეს უნგრეთის მუშათა კლასის მტრებმა, მშრომელი გლეხობის მტრებმა, მშრომელი ხალხის მტრებმა.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიისა და მისი ხელმძღვანელობის ისტორიული დამსახურება უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ ისინი გაბედულად დაადგნენ წინანდელი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომების გადაჭრით გამოსწორების გზას. მძიმე პირობებში, რაც გამოწვეული იყო კონტრრევოლუციური ამბოხების შედეგებით, ისინი მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებდნენ ხელმძღვანელობის ლენინურ მეთოდებს, შეძლეს აღედგინათ პარტიისადმი ნდობა, რომელსაც ძირი გამოთხრილი ჰქონდა წინანდელი ხელმძღვანელობის მიერ, შეძლეს მოეპოვებინათ ხალხის მასების მხარდაჭერა.

თუ დავუბრუნდებით ჩვენი რევოლუციური ძალის მთავარ სათავეებს — მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებას, ერთხელ კიდევ რწმუნდებით, რომ იგი იმდენად ძლიერი და მძლავრია, იმდენად კარგად ემსახურება მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის ინტერესებს, რომ ასეთ განსაცდელშიც კი იგი არ დაჩრდილულა. უნგრელმა კომუნისტებმა მოიშორეს არასწორი ცნებების სიმძიმე, მოიპოვეს სიდინჯე, ფხიზლად შეაფასეს შექმნილი მდგომარეობა, ჰპოვეს ძალები გადაელახათ შინაგანი სიძნელენი, ანგარიში გაესწორებინათ მუშათა კლასის მტრებისათვის, კონტრრევოლუციისათვის და სწორი გზით წაეყვანათ ხალხი. და ხალხმა, როგორც ყოველთვის, მხარი დაუჭირა უნგრეთის კომუნისტებს, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომელსაც ძნელ პერიოდში სათავეში ჩაუდგნენ მამაცი და მტკიცე კომუნისტები ამხანაგები იანოშ კადარი, ფერენც მიუნიხი და სხვა ამხანაგები, რომლებიც მათ გაჰყვნენ. (ხანგრძლივი ტაში).

ამხანაგებო! რთული მოვლენები საზოგადოებრივ ცხოვრებასა და კომუნისტური პარტიების მოღვაწეობაში შეიძლებოდა ყოფილიყო სხვა სოციალისტურ ქვეყნებშიც. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ ზოგიერთმა პარტიამ, მათ შორის ჩვენმა პარტიამაც, განიცადა გარკვეული სიძნელეები, გადაიტანა ციებ-ცხელების მსგავსი რაღაც. მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია ორგანიზმის სიმტკიცეზე, იმაზე, თუ რამდენად შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს ავადმყოფობას. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ პირველმა უჩვენა ყველა იმ მანკიერების გაბედული და მკვეთრი დაგმობის მაგალითი, რომლებიც პიროვნების კულტმა წარმოშვა. და ეს სწორია, თუმცა ზოგიერთი ამბობდა, რომ ცნობილი გართულებანი სოციალისტური ქვეყნების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომდინარეობენ ჩვენი პარტიის XX ყრილობიდან, რომ საჭირო არ იყო ასე მწვავედ დაგვესვა საკითხი.

არა, ამხანაგებო, საჭირო იყო ეს გვექნა. საჭირო იყო გავწმენდილიყავით და გავთავისუფლებულიყავით ყოველგვარი ნალექისაგან. როგორც მხატვარს, იმისათვის, რომ ტილო გაბრწყინდეს, ზოგჯერ ესაჭიროება გადარეცხოს დროთა ვითარებაში ნალექი, ისე ჩვენც უნდა რაღაც გაგვეწმინდა, რათა დაგვენახვებინა შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის ნამდვილი სახე.

ვიმეორებ, ყველა პარტიამ სხვადასხვანაირად განიცადა ეს ციებ-ცხელება, მაგრამ ამ ციებ-ცხელების შემდეგ ჩვენი ორგანიზმი უფრო მტკიცე გახდა და ჩვენ უფრო მეტი რწმენით მივდივართ იმ გზით, რომელიც გვიჩვენეს მარქსმა, ენგელსმა, ლენინმა, მივდივართ წინ, კომუნისტური საზოგადოების აშენებისაკენ. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

არ მინდოდა ერთხელ კიდევ დავბრუნებოდი უნგრეთის ამბებს, მექექა წარსული, მაგრამ უნგრეთში კონტრრევოლუციური ამბოხების გაკვეთილებს არა მარტო ადგილობრივი, უნგრული მნიშვნელობა აქვს. ამ გაკვეთილებს არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიონ აგრეთვე სხვა კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა.

უნგრეთში კონტრრევოლუციური ამბოხების გაკვეთილებიდან გამომდინარეობს ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი დასკვნა სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში კლასობრივი ბრძოლის შესახებ.

ჩვენი პარტიის XX ყრილობაზე სამართლიანად გააკრიტიკეს ი. ბ. სტალინის მიერ წამოყენებული მცდარი დებულება კლასობრივი ბრძოლის გამწვავების შესახებ იმის კვალობაზე, რაც იზრდება სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი. მაგრამ ამ დებულების კრიტიკა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ უარვყოთ კლასობრივი ბრძოლის გარდუვალობა სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში.

საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალისტური მშენებლობის მთელმა გამოცდილებამ დამაჯერებლად დაადასტურა ფართოდ ცნობილი ლენინური დებულება, რომ კლასობრივი ბრძოლა არ ქრება პროლეტარიატის დიქტატურის დროს, არამედ მხოლოდ სხვა ფორმებს იღებს. ამასთან ერთად სავსებით ცხადია, რომ პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება და სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი განუხრელად იწვევენ ცვლილებას კლასობრივი ძალების თანაფარდობაში სოციალიზმის სასარგებლოდ, მტრული კლასების ნაშთების წინააღმდეგობის ძალის შესუსტებას. ასეთია კლასობრივი ბრძოლის განვითარების საერთო ტენდენცია იმ ქვეყნებში, რომლებიც სოციალისტური განვითარების გზას დაადგნენ.

მაგრამ განვითარება პირდაპირი ხაზით როდი მიდის, კლასობრივი ბრძოლა სოციალიზმის მშენებლობის ეპოქაში შეიძლება ამა თუ იმ ცვლილებასთან დაკავშირებით საშინაო და საგარეო ვითარებაში ცალკეულ პერიოდებში გაძლიერდეს და მიიღოს უაღრესად მწვავე ფორმები, ხდებოდეს შეიარაღებული შეტაკებაც კი, როგორც უნგრეთში მოხდა 1956 წელს. ჩვენი საქმისათვის საშიში იქნებოდა დაგვევიწყა უნგრეთში კონტრრევოლუციური ამბოხების ეს დიდმნიშვნელოვანი გაკვეთილი.

სოციალიზმის მტრები ახლაც არ იღებენ ხელს სოციალისტური ბანაკის განადგურების თავიანთ გეგმებზე და, რა თქმა უნდა, ეძებენ სუსტ რგოლებს ამ ბანაკში, მათ სურთ სათითაოდ გაუსწორონ ანგარიში სოციალისტურ ქვეყნებს. ჩვენ მხედველობაში უნდა გვქონდეს ეს საფრთხე, იგი მოკლებული არ არის საფუძვლებს, და ყველაფერს ვაკეთებდეთ იმისათვის, რომ მტრებს მოვუსპოთ მათი იმედი, რომ ეს მათი იმედი არ გამართლდეს. ამ ვერაგულ განზრახვაში იმპერიალისტური ნატვრისა და იმედის მოკავშირე შეიძლება იყოს მხოლოდ ჩვენი სისულელე.

თუ გავყოყოჩდით, თუ ჩვენს ხელმძღვანელობაში დავუშვით შეცდომები, თუ დავამახინჯეთ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის შესახებ, ეს შეცდომები შეიძლება გამოიყენონ კომუნიზმის მტრებმა, რაც უკვე მოხდა 1956 წელს.

ახლა თვითეული სოციალისტური ქვეყანა ცალკე და მთელი სოციალისტური ბანაკი ისე ძლიერია, რომ ჩვენი ძალები უძლეველი არიან. მაგრამ ერთხელ კიდევ შეიძლება გავიმეოროთ, რომ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მტრები არ გამოიყენებენ ძირგამომთხრელ მეთოდებს ყოველ ქვეყანაში, არ შეეცდებიან ერთი სოციალისტური ქვეყანა დაუპირდაპირონ მეორეს, რათა ამით დაასუსტონ სოციალიზმის ძალები. ჩვენ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მისწრაფება ერთმანეთს გადაჰკიდონ სოციალისტური ქვეყნები, შეასუსტონ მათი ძმური, მეგობრული ურთიერთობა კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი ფორმაა, რასაც ჩვენი მოწინააღმდეგე იყენებს. აი ამიტომ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ურყევი პრინციპები წარმოადგენენ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის უმაღლეს გარდუვალ კანონს.

გონივრულად გამოვიყენებთ რა სოციალისტური სისტემის დიდ უპირატესობებს, ყოველი ღონისძიებით განვამტკიცებთ რა მსოფლიო სოციალისტურ ბანაკს, ჩვენ თანმიმდევრულად, შემოქმედებითად უნდა განვახორციელოთ ლენინური მოძღვრება სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის შესახებ. ვიყოთ ლენინელი ოსტატები, არ ჩამოვრჩეთ და არ ავჩქარდეთ, ხატოვნად რომ ვთქვათ, ერთმანეთთან შევამოწმოთ საათები. თუ ამა თუ იმ ქვეყნის ხელმძღვანელობა გაყოყოჩდა, ეს შეიძლება სასარგებლო იქნეს მტრისათვის. ამ შემთხვევაში თვით სოციალისტური ქვეყნები, თვით ხელმძღვანელობა გაუწევენ დახმარებას მტრებს სოციალიზმის წინააღმდეგ, კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. / ამის დაშვება კი არ შეიძლება.

სოციალისტური მშენებლობის გამოცდილება საბჭოთა კავშირში, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში, სოციალიზმის ყველა ქვეყანაში გვასწავლის, რომ ჩვენი წარმატებები მით უფრო დიდი და მტკიცეა, რაც უფრო ძლიერია მშრომელი მასების აქტივობა, რაც უფრო სრულად ითვალისწინებენ მათი ცხოვრების ძირეულ ინტერესებს, რაც უფრო მეტი გასაქანი ეძლევა ხალხის შემოქმედებითს ინიციატივას. მეურნეობის გეგმიანი გაძღოლა, სოციალისტური ქვეყნების ურთიერთდახმარება, სამეურნეო მშენებლობის პრაქტიკაში გამოცდილების გაზიარება აჩქარებს ჩვენს წინსვლას დიადი მიზნისაკენ. სოციალისტური ეკონომიკის აღმავლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მატერიალური დაინტერესების ლენინურ პრინციპს. ლენინიზმი გვასწავლის და სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკა ადასტურებს, რომ თუ არ იქნა მუშაკთა მატერიალური დაინტერესება მათი შრომის შედეგებით, ისე არ შეიძლება განვითარდნენ ქვეყნის საწარმოო ძალები, შეიქმნას სოციალისტური ეკონომიკა და ათეულ მილიონობით ადამიანი მივიყვანოთ კომუნიზმამდე.

თქვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენებაში განსაზღვრულია მთავარი ამოცანები თქვენი ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკის განვითარებაში, დასახულია სახალხო მეურნეობის გეგმების წარმატებით შესრულების, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების გზები.

სულით და გულით ვუსურვებთ თქვენს პარტიას, მთელ უნგრელ ხალხს ახალ გამარჯვებებს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობის დამთავრების ისტორიული ამოცანის გადაჭრაში. (მქუხარე ტაში).

ამხანაგებო! თანამედროვეობის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი და ყველაზე მწვავე საკითხი, რომელიც აღელვებს დედამიწის ასეულ მილიონობით უბრალო ადამიანს, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, ომის თავიდან აცილებისა და დედამიწაზე მტკიცე და მყარი მშვიდობის დამყარების საკითხია.

მე არ მჭირდება ლაპარაკი იმ დიდ ღონისძიებებზე, რომლებიც განახორციელეს საბჭოთა კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა საყოველთაო უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით. ეს ყველამ კარგად იცის. შეიძლება კმაყოფილებით აღინიშნოს, რომ ჩვენს ღონისძიებებს ამაოდ არ ჩაუვლია. საბჭოთა კავშირის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, ჩვენს მიერ წამოყენებულ საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამას, აგრეთვე ჩემს ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში, შეხვედრებსა და საუბრებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან მოჰყვა საერთაშორისო დაძაბულობის ერთგვარი შენელება. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. ჯერ კიდევ ცოტანი როდი არიან ძალები, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ შეაჩერონ საერთაშორისო დაძაბულობის დაწყებული შენელება და შეინარჩუნონ „ცივი ომის“ მდგომარეობა.

ბურჟუაზიულ პრესაში ვრცელდება ბევრი სხვადასხვა მონაჭორი ჩვენი საგარეო პოლიტიკის შესახებ. ერ-

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის გაგრძელება

თნი ამბობენ, რომ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები მხარს უჭერენ ყველა საკითხის მშვიდობიან გადაჭრას და მოითხოვენ საყოველთაო განიარაღებას იმიტომ, რომ ისინი სუსტნი არიან და ეშინიათ კაპიტალისტური სამყაროს სამხედრო ძლიერებისა. მეორენი ამტკიცებენ, თითქოს ჩვენი ბრძოლა მშვიდობისათვის არც მეტი, არც ნაკლები, მანევრია, ტაქტიკური ხრიკია, რომ ნამდვილად ჩვენ ვფიქრობთ გავავრცელოთ სოციალისტური წესწყობილება მთელ მსოფლიოზე იარაღის ძალით. იმპერიალისტები, რომლებიც ისწრაფვიან ჩირქი მოსცხონ ჩვენს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, მიმართავენ ყოველგვარ მონაჭორს ფარული მოტივებისა და მიზნების შესახებ, რომლებიც თითქოს საფუძვლად უდევს ამ პოლიტიკას.

მაგრამ დაუმტკიცებლის დამტკიცება შეუძლებელია. ჩვენ არ გვჭირდება ჩვენი მიზნების დაფარვა. მათ შესახებ კომუნისტებმა აშკარად განაცხადეს ჯერ კიდევ ას წელზე მეტი ხნის წინათ ცნობილ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“.

ჩვენ, კომუნისტები, არასოდეს არ ვმალავდით და არ ვმალავთ, რომ ვართ მტკიცე მომხრენი და აქტიური მებრძოლნი საზოგადოების ისეთი წყობისათვის, სადაც არ იქნება ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, ერთი ხალხის მიერ მეორე ხალხის ჩაგვრა, სადაც უზრუნველყოფილი იქნება თავისუფლება და ბედნიერება ყველა ადამიანისათვის და ყველა ხალხისათვის. სწორედ ამიტომ კომუნისტები ომის ყველაზე თანამიმდევრული მოწინააღმდეგენი არიან.

სოციალისტურ ქვეყნებს არა აქვთ რაიმე წამაქეზებელი მიზეზი ომის გასაჩაღებლად, იარაღის ძალით თავიანთი იდეების გასავრცელებლად. ჩვენი მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა ნათელი და გასაგებია. ჩვენი ბრძოლა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, მტკიცე და მყარი მშვიდობისათვის განუყრელად დაკავშირებულია სოციალიზმის დიად მონაპოვართა დაცვასთან.

ჩვენ ვიბრძოდით და ვიბრძვით სახელმწიფოთა ურთიერთობაში ყველა სადავო ან გადაუჭრელი საკითხის მშვიდობიანი გზით, მოლაპარაკების გზით გადაჭრისათვის. ჩვენ ვეძებდით და კვლავაც ვეძებთ ისეთ გზებს, რომლებიც მისაღები იქნება სადავო საკითხების გადაჭრაში, როგორც კაპიტალისტური, ისე სოციალისტური სახელმწიფოებისათვის, რათა თავიდან ავიცილოთ ომის წარმოშობა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენ არასოდეს არ დავთმობთ ჩვენს იდეურ პრინციპებს. ჩვენ ვეწევით და კვლავაც გავწევთ შეურიგებელ ბრძოლას მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისათვის, კომუნიზმის მაღალი იდეალების გამარჯვებისათვის. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენი მტრები ხმაურობენ ეგრეთწოდებული კომუნისტური საფრთხის შესახებ. მაგრამ დაე მათ გვიჩვენონ დედამიწაზე თუნდაც ერთი კომუნისტი, რომელიც გამოდის ომის მოწოდებით, როგორც ამას აკეთებენ დასავლეთის უზომოდ აგრესიული გენერლები და სახელმწიფო მოღვაწეებიც კი, რომლებიც მოითხოვენ, რომ საბჭოთა კავშირსა და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებს თავს დაატეხონ ატომური და წყალბადის იარაღის მომაკვდინებელი ტვირთი. არც ერთ კომუნისტურ პარტიას, თუ იგი ნამდვილად კომუნისტური პარტიაა, არასოდეს და არსად არ განუცხადებია და არც შეეძლო განეცხადებინა, რომ იგი თავისი მიზნის მიღწევას აპირებს ომის გაჩაღების გზით.

საერთაშორისო მუშათა და კომუნისტურ მოძრაობას თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია ბრძოლა მტკიცე და მყარი მშვიდობისათვის. კომუნისტური პარტიები მშვიდობისათვის მებრძოლი მთელი პროგრესული ძალების ავანგარდში არიან.

ყველა ხალხს სურს მშვიდობა, იბრძვის მშვიდობისათვის. მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა ამჟამად დიდი ძალაა, თანამედროვეობის ყველაზე ფართო, ყველაზე მასობრივი მოძრაობაა, რომელიც აერთიანებს ასეულ მილიონობით ადამიანს, მიუხედავად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა და რწმენისა. ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ამ მოძრაობის მნიშვნელობა და მისი როლი. მშვიდობისათვის მოძრაობის ზრდით დაშინებული იმპერიალისტური რეაქცია ყოველნაირად ცდილობს შეასუსტოს მისი ძლიერება. ამ მიზნით იმპერიალიზმის აგენტურა მიმართავს ყოველგვარ ხრიკებს, ცდილობს პესიმიზმის განწყობილება და მშვიდობისათვის ბრძოლის უპერსპექტივობა დათესოს მასებში.

მაგალითად, ამბობენ, რა როლის შესრულება შეუძლიათ კაპიტალისტური ქვეყნების ხალხთა მასებს მშვიდობისათვის ბრძოლაში, თუ ამ ქვეყნებში ომისა და მშვიდობის საკითხებს წყვეტენ არა ხალხები, არამედ მთავრობები, რომლებიც ექსპლოატატორული კლასების ინტერესების წარმომადგენლები არიან? რა თქმა უნდა, სწორი არ იქნება უარვყოთ, რომ რეაქციულ ძალებს შეუძლიათ გააჩაღონ და არაერთხელ გაუჩაღებიათ ომები, ხალხის ნების საწინააღმდეგოდ. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ომის წინააღმდეგ ბრძოლა უაზრო და უიმედო საქმეა. ამგვარ ფატალისტურ შეხედულებებს, რომლებიც მასებს პასივობას განუმზადებენ, მარქსიზმ-ლენინიზმთან საერთო არა აქვს რა.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობის განუყოფელი ნიშანი მისი ჩასახვის დაწყებიდანვე იყო თანმიმდევრული ბრძოლა უსამართლო დამპყრობლური ომების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა არ ყოფილა უშედეგო, მას თავისი ნაყოფი მოჰქონდა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ უცხოეთის სამხედრო ინტერვენციამ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოაღვიძა ყველა ქვეყნის მუშათა კლასობრივი თვითშეგნება და ისინი გამოვიდნენ ლოზუნგით „ხელები შორს საბჭოთა რუსეთისაგან!“. ამან თავისი როლი შეასრულა.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ამბობდა: „როგორც კი საერთაშორისო ბურჟუაზია ხელს მოიქნევს ჩვენზე, მის ხელს ბოჭავენ მისი საკუთარი მუშები“. მუშათა კლასისა და სხვა საზოგადოებრივი ძალების ბრძოლა იმპერიალისტური ომების წინააღმდეგ არაერთხელ გამხდარა სერიოზული დაბრკოლება აგრესორთა სამხედრო ავანტიურების გზაზე. უეჭველია, რომ ახლანდელ ვითარებაში მშვიდობისა და უშიშროების საქმისათვის ხალხთა ფართო მასების ბრძოლის მნიშვნელობა განუზომლად გაიზარდა.

ჩვენ კვლავაც თანმიმდევრულად ვიბრძოლებთ მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, სრული განიარაღებისათვის, საყოველთაო უშიშროებისათვის. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მომავალი შეხვედრები უმაღლეს დონეზე ახალი ნაბიჯი იქნება ამ გზაზე. რაც შეეხება იმათ, ვინც ჯერ კიდევ ცდილობს გააღვივოს „ცივი ომის“ ალი და ფიქრობს იმოქმედოს „ძალის პოზიციიდან“, ჩვენ ერთხელ კიდევ შეგვიძლია გავიმეოროთ — კეტი მათ ვერ უშველის. ყოველ კეტს, როგორც ცნობილია, ორი ბოლო აქვს. კეტს მოუღერებ სოციალისტურ ქვეყნებს, ხოლო მისი მეორე ბოლო თავში მოხვდება იმათ, ვინც ამ კეტს იქნევს. **(გამოცოცხლება დარბაზში, მქუხარე ტაში).**

ახლა წლის ისეთი დროა, როცა შემოდგომის უკანასკნელი დღეები ილევა და ზამთარი დგება, პოლიტიკურ ცხოვრებაში კი აშკარა დათბობა იგრძნობა. ეს ჯერ კიდევ სითბო არ არის, ეს გაზაფხული არ არის, მაგრამ დათბობის ნიშნები არსებობს. და ახლა აგრესიულ ძალებს ძლიერ აწუხებს ეს, და ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა გაანელონ ტემპერატურა, გააძლიერონ ყინვა.

მიმდინარე წლის ადრე გაზაფხულზე ჩვენ სასარგებლო შეხვედრა გვქონდა ინგლისის პრემიერ-მინისტრთან ბ-ნ მაკმილანთან. ამ შეხვედრამ გამოიწვია საერთაშორისო ურთიერთობის ატმოსფეროში დათბობის რაღაც დასაწყისი. ამას წინათ მოხდა შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ბ-ნ ეიზენჰაუერთან. ეს შეხვედრა მიმდინარეობდა თბილი ამერიკული შემოდგომის დღეებში, და მე ვიტყოდი, რომ ჩვენ გულთბილი საუბრები გვქონდა. ჩვენ საბჭოთა კავშირში მიგვაჩნია, და სხვებიც გვეთანხმებიან, რომ ახლა მიღწეულია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ასეთ შეხვედრებზე მივდივართ კეთილი სურვილით — განვიხილოთ მომწიფებული საკითხები, რომლებიც გადაჭრას მოითხოვენ, რათა გამოინახოს სწორი ურთიერთმისაღები და, რაც მთავარია, გონივრული შეთანხმება მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

საფრანგეთის პრეზიდენტის გენერალ დე გოლის მიწვევით მომავალი წლის მარტში მოხდება შეხვედრა საფრანგეთში. ახლა ზოგან უცხოეთის პრესაში გაისმის ხმები, თითქოს ჩვენ უარი ვთქვით იდეაზე, რომ უახლოეს დროში მოწვეულ იქნას მთავრობათა მეთაურების თათბირი. ასეთი მტკიცება სინამდვილეს არ შეესაბამება.

ჩვენ ყოველთვის მიგვაჩნდა, რომ მთავრობათა მეთაურების შეხვედრები სასარგებლოა და რაც უფრო ადრე მოეწყობა ეს შეხვედრები, მით უკეთესია. მაგრამ ეს ჩვენი თვალსაზრისია. სხვა პარტნიორები, რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ შეხვედრაში, რამდენადმე სხვა აზრისა არიან.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც ჩეხოვის პიესის „სამი დის“ გმირი ქალები იქცევიან, რომლებსაც რადაც უნდა დაუჯდეთ სურთ მოხვდნენ მოსკოვში. ჩვენ უკვე დიდი ხანია გამოვთქვით აზრი მთავრობათა მეთაურების შეხვედრის სასარგებლოდ ჟენევაში ან რომელიმე სხვა ადგილას. ჩვენ გვინდა ეს შეხვედრა, მაგრამ გვინდა, რომ იგი ნაყოფიერი იყოს, რომ მან სარგებლობა მოუტანოს ხალხებს.

მაგრამ ჩვენ გონივრულად უნდა მივუდგეთ თათბირის მოწვევის საკითხს და გავითვალისწინოთ სხვა პარტნიორების სურვილი, ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ მათ. საბჭოთა მთავრობა მზად არის ასეთი შეხვედრის მოწყობისათვის იმ დროში და იმ ადგილას, რომლებიც მისაღები იქნება ყველა მისი მონაწილისათვის.

ის, რომ 15 მარტს დანიშნულია ჩემი შეხვედრა პრეზიდენტ დე გოლთან, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მთავრობათა მეთაურების შეხვედრა არ შეიძლება მოხდეს ბატონ დე გოლთან შეხვედრამდე. მთავრობათა მეთაურების შეხვედრა შეიძლება მოხდეს საფრანგეთში გამგზავრებამდეც, მაგრამ გენერალ დე გოლს თვითონ სურს მთავრობათა მეთაურების შეხვედრამდე გამიზიაროს აზრი. და ეს მისი სურვილი მოკლებული როდია საფუძველს. ჩვენ ეს გვესმის და ჯეროვანი ყურადღებით ვეპყრობით მის სურვილებს. იქნებ ამან ხელი შეუწყოს უკეთეს ურთიერთგაგებას მთავრობათა მეთაურების შეხვედრის დროს.

საჭიროა გამოინახოს ყოველგვარი შესაძლებლობანი სადავო საკითხების გადასაჭრელად გონივრულ საფუძველზე და ამიტომ ანგარიში უნდა გავუწიოთ ჩვენი პარტნიორების სურვილებს.

ჩვენ ყველაფერს იმისათვის ვაკეთებთ, რომ დავაჩქაროთ „ცივი ომის“ ყინულის დნობა. ახლა მკაფიოდ იჩენს თავს ორი ტენდენცია საერთაშორისო ვითარებაში: ერთი მხრივ, არა მარტო ხალხები, არამედ აგრეთვე ბევრი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე აღიარებენ „ცივი ომის“ ლიკვიდაციის საჭიროებას, ხოლო მეორე მხრივ — არის დასავლეთის სახელმწიფოთა გარკვეული წრეების მისწრაფება შეაჩერონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების დაწყებული პროცესი, შეინარჩუნონ „ცივი ომის“ მდგომარეობა.

ამას მოწმობენ, მაგალითად, ისეთი ფაქტები, როგორიც არის ცდები კვლავ გამოიტანონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განსახილველად ეგრეთწოდებული უნგრეთის საკითხი.

ვის სჭირდება ეს პროვოკაციული საკითხი? ნუთუ იმათ, ვინც ამ საკითხს აყენებს, ნამდვილად სჯერათ, რომ შეიძლება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამ საკითხის განხილვით მიაღწიონ უნგრეთში სოციალისტურ მონაპოვართა ლიკვიდაციას და იქ ჰორტისტული რეჟიმის აღდგენას?

ვფიქრობ, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა იმ წარმომადგენლებს, რომლებიც ამ საკითხს აყენებენ, თვითონაც არ სჯერათ მათ მიერ წამოყენებულ წინადადებათა გონივრულობა. ისინი, ვინც ამგვარ საკითხებს აყენებს, ებღაუჭებიან ძველს, დრომოჭმულს. და რაც უფრო მალე შეიგნებენ ასეთი მოღვაწეები, რომ ისინი იმედს ამყარებენ დრომოჭმულ ცხენზე, მით უფრო მალე აღმოიფხვრება დაძაბულობა და ეს ხელს შეუწყობს ურთიერთგაგების გაუმჯობესებას და მშვიდობის საქმის განმტკიცებას. **(ტაში).**

ისინი დასტირიან კონტრრევოლუციის განადგურებას უნგრეთში. დაე ტიროდნენ მტრები, ღვრიდნენ ცრემლს რეაქციის წარმომადგენელთა პატარა ჯგუფის გამო. მაგრამ სამაგიეროდ ზეიმობს უნგრეთის მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა, მთელი მშრომელი ხალხი, რომელმაც განამტკიცა თავისი სოციალისტური მონაპოვარნი. ჩვენ კი ეს წარმატებანი გვახარებენ და მხურვალედ ვუკრავთ მათ ტაშს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! ამჟამად ყველა პოლიტიკური მოღვაწე, ვინც რეალურად აზროვნებს, აღიარებს, რომ დაისახა საერთაშორისო დაძაბულობის შენელება. კვლავაც ყოველმა პოლიტიკურმა მოღვაწემ და ყოველმა ქვეყანამ ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებას, დაძაბულობის ლიკვიდაციას. უნდა გავხსნათ კვანძები, გზიდან მოვიცილოთ კენჭები, რომლებიც დაგროვდა „ცივი ომის“ შედეგად და ხელს უშლის საერთაშორისო მდგომარეობის ნორმალიზაციას.

ერთ-ერთი ასეთი არანორმალური მოვლენაა მდგომარეობა ევროპაში, სადაც თავმოყრილია ორივე ბანაკის — კაპიტალისტური ბანაკისა და სოციალისტური ბანაკის ჯარები. აქ, ევროპაში, სწორედ ყველაზე მეტად უნდა გამოიჩინოს ზრუნვა ნორმალიზაციისათვის ყველამ, ვინც დაინტერესებულია მშვიდობით, ვისაც ნამდვილად სურს სახელმწიფოთა ურთიერთობის გაუმჯობესება. ცნობილია დასავლეთ ბერლინში შექმნილი არანორმალური მდგომარეობა. ჩვენ სხვადასხვანაირად გვესმის ბერლინის ჩიხიდან თავის დაღწევის ხერხები, მაგრამ ყველა სახელმწიფო აღიარებს არანორმალურ მდგომარეობას ამ ქალაქში, გარდა ერთი სახელმწიფოსი და ერთი პოლიტიკური მოღვაწისა — დასავლეთ გერმანიისა და დასავლეთ გერმანიის კანცლერის ბ-ნ ადენაუერისა. კანცლერი განსაკუთრებით აქტიურად გამოდის დასავლეთ ბერლინის საკითხის გამო, თუმცა, როგორც ცნობილია, მას არავითარი საფუძველი არა აქვს აცხადებდეს ამ ქალაქის საქმეებში ჩარევის პრეტენზიას.

ბ-ნი კანცლერი თავის გამოსვლებში აცხადებს, რომ მთავრობათა მეთაურების შეხვედრის დროს მთავარი საკითხი, რომელიც უნდა გადაიჭრას, არის განიარაღების საკითხი. სავსებით ვეთანხმები ბ-ნ კანცლერს. მართლაც განიარაღების საკითხი მთავარი საკითხია, მას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ განიარაღებით დაინტერესებულია უკლებლივ ყველა ქვეყანა, მთელი კაცობრიობა. ჩემთვის სასიამოვნოა აღვნიშნო, რომ კანცლერმა ადენაუერმა ეს შეიგნო ამჟამად. კანცლერს რომ შრომა არ დაზარებოდა და შეესწავლა ჩვენი პოზიცია 1955 წელს ჟენევაში, იგი დარწმუნდებოდა, რომ სწორედ საბჭოთა დელეგაცია აყენებდა განიარაღების საკითხს, როგორც მთავარ საკითხს.

მართალია, მაშინ ჩვენ თავს გვახვევდნენ, და ამას აკეთებდა უწინარეს ყოვლისა კანცლერი ადენაუერი თავისი მოკავშირეების მეშვეობით, მეორე „მთავარ საკითხს“ — გერმანიის საკითხს. უფრო მეტიც, იგი ამბობდა, რომ განიარაღების პრობლემის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ ეგრეთწოდებული „გერმანიის საკითხის“ გადაჭრასთან ერთად. ხოლო ეს საკითხი მას ასე ესმოდა: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ლიკვიდაცია და დასავლეთ გერმანიის მთავრობის ხელისუფლების გავრცელება მთელ გერმანიაზე, ესე იგი საქმე ეხებოდა კაპიტალისტური სისტემის განმტკიცებასა და სოციალისტური სისტემის ლიკვიდაციას ამ ქვეყანაში. აი რა სურდა და რა სურს კანცლერ ადენაუერს!

მაგრამ, როგორც ვიცით, სოციალიზმს ებრძოდა ჰიტლერი, მერე რა გამოვიდა აქედან?! ჰიტლერმა თავი მოიკლა, სოციალიზმი კი ჰყვავის! **(გამოცოცხლება დარბაზში, ტაში).** კანცლერმა ადენაუერმა უნდა იცოდეს, რომ ახლა იგი წარმომადგენელია დასავლეთ გერმანიის მთავრობისა, რომელიც მოვალეა ახსოვდეს ჰიტლერის ბოროტმოქმედებანი. იგი, კანცლერი, ამბობს, რომ არ აგებს პასუხს ჰიტლერული გერმანიის საქმეებისათვის. მაგრამ სად არიან ის ადამიანები, რომლებიც მიუძღოდნენ ფაშისტ ჯარისკაცებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, იყვნენ სტალინგრადში, ეწეოდნენ ომს სხვა ქვეყნების წინააღმდეგ? ისინი რომ ვიპოვნოთ, ამისათვის არ არის საჭირო აღვიჭურვოთ ბინოკლით ან სხვა ოპტიკური საშუალებებით. ყველასათვის გასაგებია, რომ ისინი არ უნდა ვეძებოთ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ამ ადამიანებმა ნიადაგი ჰპოვეს დასავლეთ გერმანიაში და ბევრ მათგანს იქ თვალსაჩინო მდგომარეობა უჭირავს. ზოგიერთი მათგანი ადგენს დასავლეთ გერმანიის არმიას, სხვები კი უკვე სარდლობენ ნატოს ჯარებს.

აი როგორია ვითარება, თუ მას საღად შევხედავთ, ხოლო ჩვენ, კომუნისტები, მუდამ საღად ვუყურებთ ცხოვრებას.

საერთაშორისო ჰავის დასახული დათბობა და საბჭოთა მთავრობის აქტიური ღონისძიებანი მშვიდობის შემდგომი განმტკიცების მიმართულებით აშკარად არ მოსწონთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახლანდელ ხელმძღვანელებს, და ისინი ცდილობენ ყველაფერი გააკეთონ, რათა ხელი შეუშალონ სახელმწიფოთა ურთიერთობის გაუმჯობესებას, ჩირქი მოსცხონ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას. ამ მხრივ განსაკუთრებულ აქტივობას იჩენს კანცლერი ადენაუერი. მისი უკანასკნელი სიტყვა, რომელიც მან ამ დღეებში წარმოთქვა რაინის ოლქში ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ყრილობაზე, გვიჩვენებს, რომ ბ-ნი ადენაუერი არ ერიდება აშკარა ჭორს, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების პირდაპირ დამახინჯებასაც კი. „არც ერთ ქვეყანას ამ საუკუნეში, — აცხადებს კანცლერი. — არ უწარმოებია იმდენი ომი, არ დაუპყრია იმდენი ქვეყანა, რამდენიც საბჭოთა კავშირს“.

როცა კანცლერ ადენაუერის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს კითხულობთ, შეიძლება იფიქროთ, რომ არა ჰიტლერულმა გერმანიამ, არამედ საბჭოთა კავშირმა გააჩაღა მეორე მსოფლიო ომი, რომელიც ათეულ მილიონობით სიცოცხლედ და აურაცხელ მატერიალურ მსხვერპლად დაუჯდათ ხალხებს; შეიძლება იფიქროთ, რომ საბჭოთა კავშირი დაესხა თავს გერმანიას და არა ჰიტლერულმა გერმანიამ მოახდინა ავაზაკური თავდასხმა ჩვენს ქვეყანაზე.

ან იქნებ კანცლერი ადენაუერი დაიწყებს მტკიცებას, რომ 1918-1920 წლებში საბჭოთა რუსეთი შეიჭრა გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიაში? მაგრამ ვინ დაუჯერებს მას, როცა საყოველთაოდ ცნობილია, რომ სწორედ ამ სახელმწიფოებმა გაილაშქრეს მაშინ იარაღით ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც მოუწოდებდა საყოველთაო მშვიდობისაკენ, და იყვნენ მონაწილენი უცხოეთის ინტერვენციისა, რომლის დროს ჩვენს ქვეყანაში შემოიჭრნენ თოთხმეტი სახელმწიფოს ჯარები.

ცდილობს რა დაამახინჯოს საბჭოთა კავშირის პოლიტიკა, დასავლეთ გერმანიის კანცლერი ღალატობს არა მარტო ლოგიკას, არამედ ელემენტარულ საღ აზრსაც. ეს გასაგებია. ნამდვილად ხომ თვით კანცლერ ადენაუერის განზრახვას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ეწოდოს მშვიდობისმოყვარული. მისი უკანასკნელი სიტყვა იძლევა ამის ახალ დამამტკიცებელ საბუთს. რად ღირს, მაგალითად, მისი ასეთი განცხადება: „გაერთიანების ნაცვლად ჩვენ ახლა უნდა გამოვიყენოთ სხვა გამოთქმა, სახელდობრ: ჩვიდმეტი მილიონი გერმანელისათვის თავისუფლების დაბრუნება“.

სიტყვა „თავისუფლებით“ ჟონგლირება ვერავის ვერ შეიყვანს შეცდომაში. საქმე ეხება იმას, რომ ადენაუერს სურს აიძულოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელნი კვლავ იმუშაონ კაპიტალისტებისა და მემამულეებისათვის, ხოლო რესპუბლიკის ტერიტორია დაფაროს ნატოს ატომური და რაკეტული ბაზებით, როგორც ეს უკვე გააკეთა დასავლეთ გერმანიაში. მხოლოდ ასე წარმოუდგენია მას გერმანიის გაერთიანება. მაგრამ გასაგებია, რომ ასეთი გეგმები ქვიშაზეა აგებული. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელნი იმისათვის როდი ქმნიდნენ ათ წელიწადს ახალ სოციალისტურ საზოგადოებას და განამტკიცებდნენ თავიანთ სახალხო სახელმწიფოს, რომ ნება მისცენ ვინმეს მოსპოს ის, რაც მოპოვებულია მილიონობით ადამიანის გულმოდგინე და თავდადებული შრომით.

ჩვენ არასოდეს არ დავუჭერთ მხარს მოთხოვნას, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ხელი აიღონ სოციალისტურ მონაპოვრებზე. ხოლო საყოველთაოდ ცნობილია, რომ საერთაშორისო კონფერენციებზე და შეხვედრების დროს საკითხების გადაჭრა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ითვალისწინებენ როგორც ერთი, ისე მეორე მხარის ინტერესებს.

ცალმხრივი გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ომის გზით, მოლაპარაკების გზით კი სადავო საკითხები წყდება მხოლოდ ურთიერთ ინტერესების გათვალისწინებით. მაგრამ სადღაა აქ ინტერესების გათვალისწინება, როცა ულტიმატუმური წესით მოითხოვენ გერმანიის ისტორიაში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს სოციალისტურ მონაპოვართა ლიკვიდაციას, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ლიკვიდაციას. ეს, რბილად რომ ვთქვათ, საქმისადმი არარეალური მიდგომაა. და სწორად განსაზღვრა იგი თვით ბ-ნმა ადენაუერმა როგორც „ძალის პოზიციის“, ომით დამუქრების პოზიციის პოლიტიკა.

ახლა დროება იცვლება, იცვლება მაშასადამე მუსიკაც. ახლა ბ-ნი ადენაუერი სხვა ჰანგზე მღერის, იგი უკვე ხედავს, რომ ომისა და „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის განხორციელების გზით ვერაფერს გახდები, ასეთი პოლიტიკა სასტიკად ჩაიფუშა. ამ პოლიტიკის მთავარი დირიჟორის სიკვდილის შემდეგ და უკვე მის სიკვდილამდე მუქარისა და შანტაჟის პოლიტიკა ყრუ ჩიხში მოექცა. მაგრამ მთავარი დირიჟორის ხელქვეითნი, მისი დამქაშები, რომლებიც მასთან ერთად მღეროდნენ „ცივი ომის“ ჰანგზე, ახლაც ამ ჰანგზე მღერიან უდირიჟოროდ. და ეს ჰანგი ჟღერს აშკარა დისონანსად და ჯიუტი სოლისტის მოკავშირეებსაც კი აღიზიანებს. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

ჩვენ ვეყრდნობით თანაარსებობის პოლიტიკის პრინციპებს. საბჭოთა კავშირმა შეიტანა წინადადება განიარაღების შესახებ, და ჩვენ მზადა ვართ ყოველ წუთს ხელი მოვაწეროთ ასეთ შეთანხმებას და შევუდგეთ მის რეალიზაციას უაღრესად ფართო და ღრმა კონტროლის საფუძველზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან სხვა საერთაშორისო ორგანოს ალმით. ჩვენ მხარს ვუჭერთ ნამდვილ განიარაღებას ნამდვილი კონტროლის პირობებში, როცა არც ერთ სახელმწიფოს არ შეეძლება ფარულად აღორძინოს თავისი არმია და დაიწყოს ომი.

მაგრამ იმისათვის, რომ როგორც ერთი, ისე მეორე მხარე დარწმუნებული იყოს, ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ დასავლეთ ბერლინის საკითხი. რატომ ვაყენებთ დასავლეთ ბერლინის საკითხს? იმიტომ, რომ დასავლეთი ბერლინი ახლა გახდა კონფლიქტების წყარო, ერთგვარი განხეთქილების ვაშლი. როცა ჩვენ ვამბობთ, რომ უნდა გადაწყდეს დასავლეთ ბერლინის საკითხი, ეს ნიშნავს, რომ ჩვენი წინადადებაა ამოვიღოთ ჯანსაღი სხეულიდან ხიწვი, რომელიც დარჩა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, და მოვსპოთ საოკუპაციო რეჟიმის კერა.

როგორ შეიძლება გავაკეთოთ ეს? ერთადერთი საშუალებაა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების ხელმოწერა. სწორედ ასეთი წინადადება შემოვიტანეთ ჩვენ. საზავო ხელშეკრულებას ვერავინ გაექცევა, თუ სხვა ქვეყნები, რომლებზეც დამოკიდებულია საზავო ხელშეკრულების ხელმოწერა, მშვიდობისა და თანაარსებობის პოზიციებზე დგანან. საჭიროა, ბოლოს, მოისპოს მეორე მსოფლიო ომის ნაშთები, რადგან ისინი წარმოადგენენ მასაზრდოებელ წყაროს მესამე მსოფლიო ომის გამჩაღებლებისათვის. ჩვენ არ ვაჩქარებთ დასავლეთ ბერლინის საკითხის გადაჭრას, არ ვაყენებთ არავითარ ვადებს, ულტიმატუმებს, მაგრამ ამავე დროს არ შევასუსტებთ ჩვენს ენერგიას ჩვენს მოკავშირეებთან შეთანხმების მიღწევაში.

თუ ჩვენ ვცდით ყველა საშუალებას და მათ არ მოჰყვება სასურველი შედეგები, მაშინ არ გვექნება სხვა გამოსავალი გარდა იმისა, რომ ხელი მოვაწეროთ საზავო ხელშეკრულებას ორ გერმანულ სახელმწიფოდან იმასთან, რომელიც ამას მოისურვებს. და პასუხისმგებლობა საზავო ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარის თქმისათვის ამ შემთხვევაში ჩვენ როდი დაგვეკისრება. იგი დაეკისრება იმათ, ვინც უგუნურად მიუდგა ამ საკითხის გადაჭრას, სახელმწიფოთა ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების გზას კი არ დაადგა, არამედ, პირიქით, სურდა, რომ საშიში წყარო, რომელიც მესამე მსოფლიო ომის წარმოშობის საფრთხეს შეიცავს, დარჩენილიყო.

ამიტომ ჩვენ ვეუბნებით კანცლერ ადენაუერს: თუ თქვენ მართლაც რევანშიზმის და ჰიტლერიზმის წინააღმდეგი ხართ, — ხოლო ამას თქვენ ხშირად აცხადებთ, — საქმით გვიჩვენეთ ეს, — ნუ უწევთ წინააღმდეგობას ჰიტლერული ომის ნაშთების ლიკვიდაციას. ან იქნებ თქვენ მისი განახლება გსურთ? თქვენი განცხადებებიდან ჩანს, რომ თქვენ ეს არა გსურთ! მაშინ ხელი შეუწყეთ, როგორც მოკავშირემ ჩვენი მოკავშირეებისა ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომში, იმას, რომ მთავრობათა მეთაურების შეხვედრის დროს ეს საკითხი გადაიჭრას ყველა ხალხის ინტერესების შესაბამისად, რომ არავინ არ მოიგოს და არავინ არ წააგოს, არამედ მოიგოს მშვიდობის საქმემ. საჭიროა ხელი მოვაწეროთ საზავო ხელშეკრულებას და დავაწესოთ დასავლეთ ბერლინისათვის თავისუფალი ქალაქის სტატუსი.

დასავლეთ ბერლინში ახლანდელი მდგომარეობის დროს საქმე შეიძლება მივიდეს სრულ აბსურდამდე. ცნობილია, რომ ყველა ქვეყანამ პრინციპულად მოიწონა ჩვენი წინადადებანი განიარაღების შესახებ. შექმნილია პარიტეტული კომისია და გაერთიანებული ერების გადაწყვეტილებით ეს საკითხი განსახილველად გადაეცა „ათთა“ ამ კომისიას. ავიღოთ უკეთესი, რასაც ჩვენ ვესწრაფვით, — ჩვენი წინადადებები მიღებულ იქნება, ხოლო ისინი მიღებულ იქნება ადრე თუ გვიან — მსოფლიო ამისაკენ მიდის, იმიტომ, რომ ადამიანის გონება ვითარდება და ადამიანის გონება გაიმარჯვებს. წინადადებები განიარაღების შესახებ ყველაზე გონივრული წინადადებებია, გამოხატავს ყველა ადამიანის, მთელი კაცობრიობის სურვილებს. მაშ რა ვუყოთ დასავლეთ ბერლინს?

ჩვენი ყოფილი მოკავშირეები დაჟინებით მოითხოვენ, რომ ოკუპანტთა უვადო უფლებები ექნეთ, სურთ სამუდამოდ შეინარჩუნონ იქ საოკუპაციო რეჟიმი, დატოვონ თავიანთი ჯარები. მაშასადამე, თუ ხელმოწერილ იქნა შეთანხმება განიარაღების შესახებ, თუ ყველა დაიწყებს განიარაღებას, ყველა არმია დაიშლება, — როგორ მოიქცევიან ჯარები დასავლეთ ბერლინში? იმ ლოგიკას თუ დავიცავთ, რომელსაც ახლა იცავენ დასავლეთის ქვეყნები და რომელსაც განსაკუთრებით იცავს კანცლერი ადენაუერი, დედამიწაზე ერთადერთი ადგილი, სადაც ჯარები უნდა დატოვონ, — ეს დასავლეთ ბერლინია. მაგრამ ეს უკვე აშკარად აბსურდული სურვილია, რომელიც ეწინააღმდეგება საღ აზრს. ეს, ასე ვთქვათ, ცხენის ლოგიკაა. **(სიცილი დარბაზში).**

როგორღა გადავჭრათ ასეთი ლოგიკის დროს განიარაღების საკითხი? საოკუპაციო რეჟიმის შენარჩუნება ძირეულად ეწინააღმდეგება განიარაღების იდეას.

აი ამიტომ ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანისათვის გასაგებია, რომ ეს ულოგიკო პოლიტიკა, უგუნური პოლიტიკაა. იგი ეწინააღმდეგება საღ აზრს. საბჭოთა მთავრობის პოზიცია მიზნად ისახავს ომის მდგომარეობის ლიკვიდაციას გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის გზით. ჩვენ თანაარსებობის პოზიციაზე ვდგავართ და ეს გვიკარნახებს სწორ მიმართულებას საერთაშორისო ურთიერთობაში. ჩვენ კიდევ და კიდევ ვიმეორებთ: თანაარსებობა — ეს არის სახელმწიფოთა ჩაურევლობა ერთმანეთის საქმეებში, თვითეული ხალხის იმ უფლების აღიარება, რომ თვითონ აირჩიოს ის რეჟიმი და ის სოციალური სისტემა, რომელშიც ამ ხალხს სურს იცხოვროს. ამის საფუძველზე ჩვენ ვაყენებთ წინადადებას შეიქმნას თავისუფალი ქალაქი დასავლეთი ბერლინი. ამასთან ნამდვილად არ ირღვევა იქ დამყარებული სახელმწიფოებრივი წყობილება, არ ირღვევა არც სოციალური, არც პოლიტიკური პრინციპები. ჩვენ მზად ვართ მივცეთ თავისუფალ ქალაქს დამოუკიდებლობისა და ხელშეუხებლობის სრული გარანტიები, რაზედაც თანახმა არიან ჩვენი მოკავშირეები, გარანტიები ჩვენი მონაწილეობით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მფარველობით ან ყოველი სხვა ურთიერთმისაღები წესით.

სხვა გზას ჩვენ ვერ ვხედავთ, თუ ვიხელმძღვანელებთ თანაარსებობისა და სხვა სახელმწიფოთა საქმეებში ჩაურევლობის ფორმულით. დასავლეთ ბერლინში

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის დასასრული

საოკუპაციო რეჟიმისა და ჯარების შენარჩუნების სურვილი — ეს არის მისწრაფება, რომ განახორციელონ პოლიტიკა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. ეს ნიშნავს გაავარვარონ ატმოსფერო, განაგრძონ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის განხორციელება. მაგრამ საიდუმლოება არ არის, რომ ყოველ მასალას აქვს გავარვარების თავისი ზღვარი, იგი უეცრად წყდება და ამას შეიძლება მოჰყვეს კატასტროფა!

ამიტომ, ბ-ნო ადენაუერო, თქვენ მეტად უმადურ როლს — მე აღარ ვამბობ არაკეთილშობილურ — როლს კისრულობთ. წარსული აღარ ბრუნდება. საქმე რომ კიდევაც წარიმართოს „ძალის პოზიციიდან“, ბ-ნო კანცლერო, განა თქვენ ვერ ხედავთ, რომ ძალა, რომელსაც გსურთ დაეყრდნოთ, დაკარგულია, იგი აღარ არის. ახლა ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს ესმის, რომ ძალებმა გადაინაცვლეს სოციალისტური ქვეყნებისაკენ; და ძალაც და სიმართლეც ჩვენს მხარეზეა! ამ შემთხვევაში სიმართლე ძალებთან ერთად არის, რადგან ჩვენ, მიუხედავად იმისა, რომ ძალებმა ჩვენს სოციალისტურ ბანაკში გადმოინაცვლეს, არ ვცვლით ჩვენს მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას. **(მქუხარე ტაში).**

ჩვენ არ მოვითხოვთ ჩვენი პარტნიორებისათვის მიუღებელ პოზიციებს. პირიქით, ჩვენ, ისევე როგორც წინათ, სიმართლის პოზიციებზე, გონივრულ პოზიციებზე ვდგავართ. ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ იმისათვის, რომ საბჭოთა წინადადებანი მისაღები იყოს. ჩვენ თავს არავის ვახვევთ ამ წინადადებებს, არამედ გვსურს შევთანხმდეთ მოლაპარაკების გზით, თუმცა გვაქვს სრული უფლება ხელი მოვაწეროთ საზავო ხელშეკრულებას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, თუ საზავო ხელშეკრულების ხელმოწერა არა სურს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას.

ჩვენ მაგალითი მოგვცეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომლებმაც დადეს საზავო ხელშეკრულება იაპონიასთან ისე, რომ ჩვენ არ მოგვიწერია ხელი. მაგრამ არ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ერთ მხარეს შეეძლოს ცალმხრივი წესით მოაწეროს ხელი ხელშეკრულებას, ხოლო მეორეს არ შეეძლოს, თანაც იმ მხარეს, რომლის საზარალოდ უკვე ერთ შემთხვევაში ხელმოწერილ იქნა საზავო ხელშეკრულება იაპონიასთან. ამიტომ ჩვენ გვაქვს მორალური უფლება, გვაქვს იურიდიული უფლება, ბოლოს, გვაქვს გონების უფლება, რადგან ჩვენი წინადადებანი ზარალს არ აყენებენ არც ერთ სახელმწიფოს, არც ერთ ადამიანს, რადგან მათ საფუძვლად უდევთ მშვიდობიანი თანაარსებობის, სხვა სახელმწიფოთა საქმეებში ჩაურევლობის ჩვენი პოზიციები.

საბჭოთა კავშირს შეეძლო ხელი მოეწერა ასეთი ხელშეკრულებისათვის, მაგრამ ჩვენ გვსურს ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ არ გავამწვავოთ ურთიერთობა. საოკუპაციო რეჟიმის ლიკვიდაცია დასავლეთ ბერლინში უთუოდ შეუწყობს ხელს ამას. ჩვენ გვსურს შევუთანხმდეთ ჩვენს ყოფილ მოკავშირეებს. ამიტომ ჩვენ არ ვაყენებთ რაიმე პირობას დროის მიხედვით, გვსურს, რომ ამ საკითხის გადაჭრამ კი არ გააუარესოს ჩვენი ურთიერთობა, არამედ გააუმჯობესოს იგი. საბჭოთა მთავრობა მზად არის მიმართოს ყველა შესაძლო მშვიდობიან საშუალებას, რათა მიაღწიოს გერმანიის პრობლემის გონივრულ გადაჭრას, ხელი შეუწყოს საერთაშორისო ატმოსფეროს გაუმჯობესებას, შექმნას პირობები განიარაღებისა და იმისათვის, რომ დამყარდეს მარადიული მშვიდობა დედამიწაზე მთელი კაცობრიობის საბედნიეროდ.

მაგრამ თუ ჩვენ ვერ ვპოვეთ გაგება, თუ ძალები, რომლებიც კანცლერ ადენაუერის პოზიციაზე დგანან, გამოიჩენენ ჯიუტობას, დაჟინებით მოითხოვენ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის განხორციელებას, მაშინ ჩვენ სხვა გამოსავალი აღარ გვექნება, თუ არა ის, რომ ხელი მოვაწეროთ საზავო ხელშეკრულებას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. საბჭოთა კავშირი როდი აპირებს ხელი შეუწყოს იმათ, ვინც ემხრობა „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის განხორციელებას. ჩვენ ხალისით მოვაწერდით ხელს ხელშეკრულებას დასავლეთ გერმანიასთანაც ჩვენს მოკავშირეებთან ერთად, მაგრამ თუ ამას ვერ მივაღწიეთ, იძულებული ვიქნებით ხელი მოვაწეროთ ცალმხრივ ხელშეკრულებას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.

კანცლერ ადენაუერს მიაჩნია, რომ გერმანიის საკითხის გადაჭრა გერმანიის გაერთიანებაა. გასაგებია გერმანელი ხალხის ინტერესები და ის მისწრაფება, რომ გაერთიანდეს, შექმნას ერთიანი გერმანული სახელმწიფო. მაგრამ ამ საკითხს, არსებული მდგომარეობის რეალურად შეფასებისას, როცა გერმანია გაყოფილია ორ სახელმწიფოდ, რომლებსაც სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური წყობილება აქვთ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მისი გადაჭრა შეუძლიათ მხოლოდ თვით გერმანელებს, იმიტომ რომ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სოციალური და პოლიტიკური წყობილება იქნება ერთიან გერმანიაში.

ვინ უნდა გადაჭრას ეს? რომელიმე სხვა ქვეყნებმა? მოკავშირეებმა? არა, ეს თვითონ გერმანელების უფლებაა. თქვენ კი, ბ-ნო კანცლერო, შეხვედრაც კი არა გსურთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებთან. თქვენ გსურთ, რომ გერმანია გააერთიანოთ ჩვენ, ესე იგი ყოფილმა მოკავშირეებმა, რომლებიც ომობდნენ ჰიტლერის წინააღმდეგ. ხოლო ჩვენ, ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომში ყოფილ მოკავშირეებს, ამის შესახებ სხვადასხვა აზრი გვაქვს: ზოგს მოსწონს კაპიტალისტური გერმანია, ესე იგი დასავლეთი გერმანია, ხოლო ზოგს მოსწონს სოციალისტური გერმანია, ესე იგი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. როგორღა შეგვიძლია ასეთ შემთხვევაში ჩვენ, მოკავშირეებს, გადავჭრათ ეს საკითხი?

ამბობენ, რომ საჭიროა სრულდებოდეს სახელშეკრულებო ვალდებულებანი. მოკავშირეებს არავითარი ხელშეკრულება, არავითარი ვალდებულება ამ საკითხზე არა ჰქონიათ. გერმანია განადგურებისა და კაპიტულაციის შემდეგ გაყოფილ იქნა ოთხ ზონად; შემდეგში სამი ზონა გაერთიანდა და განვითარდა კაპიტალისტურ საწყისებზე. ხოლო აღმოსავლეთმა გერმანიამ — ასე უწოდებდნენ მაშინ მას,—ხოლო ახლა გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ აირჩია სოციალისტური გზა, და ჩვენ მივესალმებით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, იგი წარმატებას აღწევს თავის განვითარებაში.

ასე რომ საკითხი გერმანიის გზების შესახებ შეიძლება გადაჭრან მხოლოდ თვით გერმანელებმა. თქვენ, ბ-ნო ადენაუერო, ვერ გაექცევით ამას. ადრე თუ გვიან, თქვენ ან სხვა, ვინც სათავეში ჩაუდგება დასავლეთ გერმანიის მთავრობას, თუ იგი რეალურად იაზროვნებს, ამ ერთადერთ სწორ დასკვნამდე მივა.

საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას სურთ რეალურად გაუწიონ ანგარიში შექმნილ პირობებს. დასავლეთ ბერლინში შენარჩუნებულია კაპიტალისტური პირობები, და ჩვენ არა გვსურს მივმართოთ მსხვერპლს და ძალადობას დასავლეთ ბერლინის მცხოვრებთა ნებისა და სურვილის მიმართ სოციალური და პოლიტიკური წყობილების არჩევის დროს, მათ ვაძლევთ უფლებას ყველაფერი თვითონ გადაწყვიტონ.

სხვა გადაწყვეტისათვის იბრძვის ადენაუერი. მაგრამ ეს ნიშნავს საკითხი გადაიჭრას რომელიმე ქვეყნის ან ქვეყნების ჯგუფის ინტერესებისათვის რომელიმე ქვეყნის ან ქვეყნების ჯგუფის წინააღმდეგ. ეს არის ან წაგება, ან მოგება უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ საკითხში, ვინმეს სასარგებლოდ და ვინმეს საზარალოდ. მაგრამ ამას არ დაეთანხმება არც ერთი და არც მეორე მხარე. ამ საკითხის ძალით, ომით გადაჭრის იმედი გიჟების იმედია. საღად მოაზროვნე ადამიანებმა იციან, თუ რა არის ომი, და ყოველ ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ იგი არ იქნეს.

ზოგს შეუძლია თქვას, რატომ აყენებს ხრუშჩოვი ამ საკითხს, როცა თითქმის უკვე მიღწეულია შეთანხმება მთავრობათა მეთაურების შეხვედრაზე, სადაც ამ საკითხს განიხილავენო. მე ვეთანხმები ასეთ აზრს და ამ საკითხს არ წამოვაყენებდი, ბ-ნ ადენაუერის გამოსვლები რომ არ ყოფილიყო. არ შემიძლია უპასუხოდ დავტოვო კითხვები, რომლებიც კანცლერმა ადენაუერმა აღძრა. ასე რომ ინიციატორი ამ საქმეში მე როდი ვარ, მე იძულებული ვიყავი მეპასუხნა დასავლეთ გერმანიის კანცლერის სიტყვებზე.

საბჭოთა კავშირი თავის პოლიტიკაში მუდამ განახორციელებს მშვიდობიანი თანაარსებობის დიად პრინციპებს.

მაგრამ ჩვენ ვინმეს როდი ვეხვეწებით მშვიდობას. მშვიდობისადმი მისწრაფება სრულიადაც არ არის ჩვენი სისუსტის ნიშანი. საბჭოთა კავშირისა და მთელი სოციალისტური ბანაკის ძლიერება დღითიდღე იზრდება. ჩვენ გვაქვს ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ მოვიგერიოთ ყოველგვარი დარტყმა. მაგრამ ჩვენ არა გვსურს მსხვერპლი, არა გვსურს ნგრევა და მილიონობით ადამიანის დაღუპვა.

ამ ცოტა ხნის წინათ ერთ-ერთ ჩემს გამოსვლაში უკვე ვთქვი, რომ ჩვენ დაგვიგროვდა ახლა იმდენი რაკეტა, იმდენი ატომური და წყალბადის მუხტი, რომ თუ თავს დაგვესხნენ, შეგვიძლია პირისაგან მიწისა აღვგავოთ ყველა ჩვენი მოსალოდნელი მოწინააღმდეგე. **(ხანგრძლივი ტაში).** არა ჩვენი სისუსტის გამო, არამედ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპული ლენინური პოლიტიკის გამო, პოლიტიკისა, რომელიც შეეფერება მთელი დედამიწის ხალხთა უფართოესი მასების ინტერესებს, ჩვენ მზად ვართ დაუყოვნებლივ მოვსპოთ მთელი ეს მარაგი, თუ მიღებულ იქნა საყოველთაო განიარაღების პროგრამა. დაე იმპერიალიზმის პროპაგანდისტებმა ილაყბონ კომუნისტების ფარულ განზრახვებზე, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი თანმიმდევრული და ნათელი მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა დღითიდღე და ყოველ საათობით შეიძენს სულ ახალ და ახალ მომხრეებს.

ძვირფასო ამხანაგებო!

სოციალისტური ბანაკის ქვეყნები მტკიცედ და განუხრელად მიდიან ჩვენი სანუკვარი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ. საბჭოთა კავშირის კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი არ იშურებენ ძალებსა და შრომას, რათა შეასრულონ ჩვენი პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, განახორციელონ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამა.

ყოველ ახალ წელს იზრდება და მტკიცდება ჩვენი ქვეყნების ეკონომიური ძლიერება, მაღლდება მშრომელთა ცხოვრების დონე. სოციალისტური მეცნიერება და კულტურა სულ ახალ მწვერვალებს იპყრობენ. სულ უფრო მტკიცე და ურყევი ხდება სოციალისტურ ბანაკში გაერთიანებული ქვეყნების ერთიანობა. ეს განამტკიცებს დედამიწის უბრალო ადამიანების რწმენას, რომ მშვიდობის ძალები გაიმარჯვებენ ომის ძალებზე.

ამხანაგმა კადარმა თავის მოხსენებაში დამაჯერებლად და ყოველმხრივ გვიჩვენა ისტორიული მონაპოვარნი და შესანიშნავი წარმატებანი, რომლებსაც უნგრელმა ხალხმა მიაღწია. ჩვენს პარტიასა და მთელ საბჭოთა ხალხს გულწრფელად ახარებს ეს წარმატებანი და სულით და გულით გისურვებენ თქვენ და თქვენი სახით ყველა უნგრელ კომუნისტს, სახალხო-დემოკრატიული უნგრეთის მუშებს, გლეხებსა და ინტელიგენციას ახალ წარმატებებს მათს კეთილშობილურ ბრძოლაში თავიანთი სამშობლოს ნათელი მომავლისათვის, უნგრელი ხალხის ბედნიერებისათვის, სოციალიზმისათვის. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ნება მიბოძეთ გამოვაქვეყნო ტექსტი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებისა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის VII ყრილობისადმი.

### «უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის VII ყრილობას

**ძვირფასო ამხანაგებო — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის VII ყრილობის დელეგატებო!**

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ჩვენი ქვეყნის ყველა კომუნისტისა და მშრომელის სახელით გითვლით თქვენ და თქვენი სახით უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ყველა წევრს, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მუშებს, გლეხებსა და ინტელიგენციას მხურვალე ძმურ სალამს და გულითადად უსურვებს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის VII ყრილობას წარმატებებს მუშაობაში. (ხანგრძლივი ტაში).**

**უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის სახით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მხურვალედ მიესალმება თავის თანამოძმესა და თანამოაზრეს, რომელიც უნარიანად მიუძღვის უნგრეთის მუშათა კლასსა და უნგრეთის ყველა მშრომელს უკეთესი მომავლის შექმნის — სოციალისტური და კომუნისტური საზოგადოების აშენების გზით. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია იმ საქმის მემკვიდრე და ერთგული განმგრძობია, რომელიც უნგრელმა კომუნისტებმა დაიწყეს 41 წლის წინათ, და მტკიცედ ხელმძღვანელობს მთელ თავის საქმიანობაში მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი თეორიით, შემოქმედებითად იყენებს მას თავისი ქვეყნის კონკრეტულ პირობებში.**

**უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის უნარიანი ხელმძღვანელობა დაეხმარა უნგრელ ხალხს წარმატებით მოეგერიებინა შინაური და საერთაშორისო რეაქციის შეტევა, მოკლე ვადებში მოეშუშებინა კონტრრევოლუციური ამბოხებით მიყენებული ჭრილობები და მიეღწია ახალი შესანიშნავი წარმატებებისათვის სოციალიზმის საფუძვლების აშენების საქმეში. რევიზიონისტებმა, აგრეთვე სექტანტებმა და დოგმატიკოსებმა, მიუხედავად მათი ყოველგვარი ცდისა, ვერ მოახერხეს აეცდინათ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია ამ გზიდან, და ამჟამად უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია, მიდის რა მასებთან თავისი კავშირის შემდგომი განმტკიცების გზით, გამოდის როგორც უნგრეთის მშრომელი ხალხის აღიარებული ბელადი სოციალიზმისა და კომუნიზმის დიადი საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.**

**თქვენმა შესანიშნავმა წარმატებებმა არ შეიძლება სიამაყითა და სიხარულით არ აღუვსოს გული საბჭოთა მშრომელებს, როგორც უნგრელი ხალხის გულწრფელ და საიმედო მეგობრებს.**

**მოძმე კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან ერთად, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ხალხთა ერთსულოვან ოჯახში უნგრელი კომუნისტები გამოდიან მშვიდობისათვის და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, მსოფლიოს ყველა ხალხს შორის მეგობრობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.**

**ვუსურვებთ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის VII ყრილობის დელეგატებს და თქვენი სახით უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ყველა წევრს, მთელ უნგრელ მშრომელ ხალხს ახალ დიდ წარმატებებს პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეში, მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში, მძლავრი სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის ძლიერებისა და შეკავშირების განმტკიცებისათვის ბრძოლაში. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).**

**გაუმარჯოს მოძმე უნგრელ ხალხს, რომელიც სოციალიზმს აშენებს! (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).**

**გაუმარჯოს უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიას! (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).**

**დაე განმტკიცდეს და აყვავდეს საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ურღვევი მეგობრობა! (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).**

**გაუმარჯოს და განმტკიცდეს სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ერთიანობა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა! (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).**

**გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს! (მ ქ უ ხ ა რ ე, ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).**

*საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი»*

**(მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია. ყველანი ფეხზე დგებიან).**

# უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის VII ყრილობა

**ბუდაპეშტი,** 30 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ბუდაპეშტში მშენებელთა კულტურის სასახლის შენობაში მუშაობა დაიწყო უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის VII ყრილობამ.

დილის 9 საათია. სხდომათა დარბაზში შემოდიან უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იანოშ კადარი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ფერენც მიუნიხი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაური, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციათა მეთაურები.

ყრილობის დელეგატები უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელებს შეხვდნენ ხანგრძლივი ტაშით, ოვაციით, ყველანი ფეხზე დგებიან.

პრეზიდიუმის პირველ მაგიდასთან ადგილებს იკავებენ იანოშ კადარი, ფერენც მიუნიხი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ჩინელ კომუნისტთა დელეგაციის ხელმძღვანელი ტან ჯენ-ლინი, დიერდ მაროშანი, ვალტერ ულბრიხტი, ჟაკ დიუკლო, კაროი კიში, დიულა კალაი და იენე ფოკი.

ყრილობას ხსნის უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ფერენც მიუნიხი.

შემდეგ ბუდაპეშტის კომუნისტთა დელეგაციის ხელმძღვანელის დეჟე კიშის წინადადებით დელეგატები ირჩევენ ყრილობის სამდივნოს, სარედაქციო, სამანდატო და სააპელაციო კომისიათა შემადგენლობას.

ყრილობა ამტკიცებს დღის წესრიგს და მუშაობის რეგლამენტს.

ყრილობა განიხილავს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშს, დირექტივებს ეკონომიური ამოცანებისა და მეორე ხუთწლიანი სახალხო სამეურნეო გეგმის მომზადების შესახებ, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის წესდების ცვლილებათა საკითხს და მთელ რიგ სხვა საკითხებს.

ამის შემდეგ ფერენც მიუნიხი საანგარიშო მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს იანოშ კადარს.

იანოშ კადარმა აღნიშნა, რომ უნგრელმა ხალხმა, მოიპოვა რა ხელისუფლება, დიდი გზა განვლო სოციალისტური მშენებლობის დარგში. ჩვენი საგარეო პოლიტიკის მიზანია, თქვა მან, ჩვენი ხალხის ამ დიად მონაპოვართა დაცვა და სოციალიზმის მშვიდობიანი მშენებლობის უზრუნველყოფა. ჩვენი საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპებია: უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა, სოციალისტური ბანაკისადმი ერთგულება, იმპერიალიზმისადმი წინააღმდეგობის პოლიტიკა, მშვიდობიანი თანაარსებობა ყველა სახელმწიფოსთან და ხალხთან, მიუხედავად საზოგადოებრივი წყობილების განსხვავებისა.

უნგრელი ხალხი ამაყობს იმით, რომ შეუძლია თავისი მეგობარი უწოდოს საბჭოთა კავშირს — შვიდწლიანი გეგმის ქვეყანას, კომუნიზმის მშენებელ ქვეყანას, კაცობრიობის პროგრესისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის უდიდეს ძალას. საბჭოთა კავშირმა მიზნად დაისახა დაეწიოს და გაუსწროს 1970 წელს ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას — ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე წარმოებისა და მოხმარების მხრივ. ახლა მსოფლიოში არ არის ისეთი სერიოზული პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც ეეჭვებოდეს ამ მიზნების რეალობა. ჩვენ, უნგრელი მშრომელები, სულითა და გულით ვუსურვებთ საბჭოთა ადამიანებს რაც შეიძლება მალე მოეპოვებინოთ სრული გამარჯვება ამ მშვიდობიან შეჯიბრებაში.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა სიმტკიცე უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა, რომელიც ჩაისახა ჯერ კიდევ 1917 წელს, როცა ათიათასობით უნგრელი მუშა, გლეხი და ინტელიგენციის წარმომადგენელი, რომლებიც სამხედრო ტყვედ ჩავარდნენ მეფის რუსეთში, იბრძოდნენ წითელი არმიის მხარეზე თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა წინააღმდეგ. უკანასკნელ 15 წლიწადში, ხაზგასმით აღნიშნა ი. კადარმა, საბჭოთა კავშირმა უკვე ორჯერ დაამტკიცა თავისი შვილების სისხლით დიდი მეგობრობა უნგრელი ხალხის მიმართ, თავისი ინტერნაციონალიზმი.

შემდეგ ი. კადარი ლაპარაკობს სოციალისტური ბანაკის ერთობაზე, ხალხებთან სოლიდარობაზე, რომლებიც იბრძვიან კოლონიური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებისათვის. ილაპარაკა რა უნგრეთ-ამერიკის ურთიერთობაზე, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ორივე ქვეყნის ურთიერთობის ნორმალიზაციის ინტერესები მოითხოვენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პასუხისმგებელმა წრეებმა გადასინჯონ თავიანთი მოძველებული, არამეგობრული პოლიტიკა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ, პოლიტიკა, რომელიც თავის დანიშნულებას ვერ ამართლებს. მან დაგმო აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარკვეული წრეების ცდები ჩაერიონ უნგრეთის საშინაო საქმეებში.

აღნიშნა რა, რომ საერთაშორისო ვითარებაში მოხდა ერთგვარი შენელება, ი. კადარმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს განპირობებულია საბჭოთა კავშირის, სოციალისტური ბანაკის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობისა და მშვიდობისათვის მთელი მოძრაობის ძალების ზრდით. თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, თქვა მომხსენებელმა, ამხანაგ ხრუშჩოვის მოგზაურობა ამერიკაში, მოგზაურობა, რომელსაც მიესალმნენ მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ადამიანები. ამხანაგი ხრუშჩოვი მთელ მსოფლიოში, კომუნიზმისაგან შორს მდგომ ადამიანებსაც კი, მიაჩნიათ ისეთ ადამიანად, რომლის უდიდესი პირადი დამსახურება ის არის, რომ დაიწყო ცივი ომის ყინულის მსხვრევა. მოხარული ვართ, რომ იგი იმყოფება ჩვენს შორის და გულითადად ვულოცავთ ამერიკაში მისი მოგზაურობის წარმატებას.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ საბჭოთა კავშირმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეიტანა წინადადება საყოველთაო განიარაღების შესახებ.

შეეხო რა უნგრეთის შინაპოლიტიკურ მდგომარეობას, ი. კადარმა ილაპარაკა 1956 წლის ოქტომბრის კონტრრევოლუციურ ამბებზე, რომლებშიც თვალსაჩინო როლი შეასრულა იმრე ნადისა და მისი ჯგუფის უმაგალითო გამცემლობამ. ი. კადარმა ხაზგასმით აღნიშნა აგრეთვე, რომ „უნგრეთში კონტრრევოლუციური ამბოხების ყველაზე ძლიერი ფაქტორი იყო საერთაშორისო იმპერიალიზმი ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული წრეების მეთაურობით“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამი წელი, რაც კონტრრევოლუციის ჩახშობიდან გავიდა, მოწმობს სახალხო ხელისუფლების სიმტკიცეს, პარტიისა და ხალხის ერთობას სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში.

ილაპარაკა რა უნგრეთის ეკონომიურ მდგომარეობაზე, ი. კადარმა განაცხადა: უნგრეთის განთავისუფლების შემდეგ უდიდესი წარმატება მოვიპოვეთ სამეურნეო მშენებლობაში.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებზე მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების დარგში, ამოცანებზე ეკონომიური მშენებლობის დარგში. წარმოების ეკონომიკის დარგში ჩვენი უშუალო ამოცანაა, აღნიშნა მან, სამწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულება მიმდინარე და მომავალი წლების წლიური გეგმის შესრულების პროცესში და ახალი ხუთწლედის პირველ მტკიცე საფუძვლების უფრო მაღალ დონეზე შექმნა. ჩვენი ამოცანაა ახალი ხუთწლედის რეალური გეგმის შემუშავება და მასების მობილიზაცია მისი შესრულებისათვის.

გეგმამ უნდა უზრუნველყოს სამრეწველო წარმოების ზრდა 1965 წლის ბოლოსათვის სულ ცოტა 65-70 პროცენტით 1958 წლის დონესთან შედარებით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა — 30-32 პროცენტით. საჭიროა მივაღწიოთ ეროვნული შემოსავლის გადიდებას სულ ცოტა ერთნახევარჯერ ისე, რომ სამრეწველო წარმოების გადიდება მიღწეულ იქნეს პირველ რიგში შრომის ნაყოფიერების 37-40 პროცენტით ზრდის შედეგად.

ილაპარაკა რა იმაზე, რომ კონტრრევოლუციის ჩახშობის შემდეგ კლასობრივი ბრძოლა უნგრეთში არ შეწყვეტილა, ი. კადარმა მოუწოდა მუშათა კლასსა და ყველა მშრომელს გააძლიერონ რევოლუციური სიფხიზლე.

შემდეგ ი. კადარმა ილაპარაკა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის როლსა და ამოცანებზე, რომლის იდეოლოგიური საფუძველია მარქსიზმ-ლენინიზმი.

რათა შეენარჩუნებინა თავისი რიგების იდეური საფუძველი, თქვა მან, პარტია გასულ სამ წელიწადში იბრძოდა ორ ფრონტზე, სახელდობრ: რევიზიონიზმისა და დოგმატიზმის წინააღმდეგ, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის სიწმინდისათვის.

დოგმატური და რევიზიონისტული მიმართულებანი, რომლებიც პარტიაში შეიქმნა, ზიანს აყენებენ მუშათა კლასის იდეურ იარაღს. მთავარი საფრთხე როგორც უნგრეთში, ისე საერთაშორისო მასშტაბით არის რევიზიონიზმი.

მომხსენებელმა განაცხადა, რომ ამჟამად უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის 16.805 პარტიული ორგანიზაცია აერთიანებს პარტიის 402.456 წევრსა და პარტიის 35.500 წევრობის კანდიდატს. პარტიის წევრთა 60 პროცენტი და კანდიდატთა 56 პროცენტი მუშები ან ყოფილი მუშები არიან, პარტიის წევრთა 14 პროცენტი და კანდიდატთა 19 პროცენტი მშრომელი გლეხები არიან. ჩვენ უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, განაცხადა კადარმა, რომ ჩვენი პარტია უფრო ძლიერია, ვიდრე კონტრრევოლუციამდე იყო, მიუხედავად იმისა, რომ პარტიის წევრთა რიცხვი სანახევროდ შემცირდა.

დასასრულ იანოშ კადარმა თქვა: საჭიროა, რომ პარტია უფრო მტკიცედ ემყარებოდეს მასებს, რომ ხალხი უფრო მჭიდროდ დაირაზმოს პარტიის გარშემო. საჭიროა უნგრელმა ხალხმა კიდევ უფრო განამტკიცოს მეგობრობა საბჭოთა კავშირისა და მთელი სოციალისტური ბანაკის ხალხებთან, რომ იგი უფრო მჭიდროდ შეუკავშირდეს მშვიდობისა და სოციალიზმის საერთაშორისო ბანაკის მზარდ ძალებს. ჩვენ ურყევად გვწამს, რომ შორს აღარ არის ის დრო, როცა სოციალიზმი სრულ გამარჯვებას მოიპოვებს ჩვენს ქვეყანაში: აშენდება სოციალისტური უნგრეთი — განხორციელდება უნგრელი ხალხის ბევრი თაობის ყველაზე მშვენიერი და ყველაზე სანუკვარი ოცნება; ჩვენ დარწმუნებული ვართ ამაში.



უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის VII ყრილობის პრეზიდიუმი. საანგარიშო მოხსენებით გამოდის უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იანოშ კადარი.

ფოტო საკდესის სპეციალური ფოტოკორესპონდენტის ვ. ეგოროვისა. (სურათი მიღებულია საკდესის ფოტოტელეგრაფით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

რიგა, 28 ნოემბერი. (საქდესი). [illegible]

... მინისტრის ფ. ნ. მახოილოს მოხსენება და დაამტკიცა რესპუბლიკის ბიუჯეტი. მიღებულ იქნა აგრეთვე კანონები ლატვიის სსრ სასამართლო წყო- ... ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ი. ვ. პეივე.

## კურორტი ბიჭვინთაში

[illegible]



სურათზე: [illegible] ფოტო ნ. [illegible] (საქართველოს ფოტოქრონიკა).

## უმილაკო რადიომიმღები „მინსკი"

მინსკი, 30 ნოემბერი. (საქდესი). მინსკის ქარხანამ დაიწყო „მინსკის" მარკის ახალი მცირეგაბარიტიანი მიმღების მასობრივი წარმოება. კონსტრუქტორებმა შექმნეს ისეთი აპარატი, რომელიც მეირმის, გეოლოგის, ექიმისა და მასწავლებლის საუკეთესო თანამგზავრი იქნება. მას არა აქვს რადიომილაკები, რომლებიც შეცვალეს უმნიშვნელო ზომის, დიდხანს მომუშავე ნახევრადგამტარმა ტრიოდ-ტრანზისტორებმა. მიმღების მაღალი ეკონომიურობა საშუალებას იძლევა მისი მუშაობისათვის გამოყენებულ იქნას ჩვეულებრივი ჯიბის ფარნის ბატარეა. ენერგია, რომელიც ხმარდება ერთ 60-ვატიან ელექტრონათურას, მაგალითად, ერთდროული მუშაობის დროს ჰყოფნის 60 რადიომიმღებ „მინსკს". ამ რადიომიმღებს აქვს გრძელი და საშუალო ტალღების დიაპაზონი. აპარატის წონა 4,5 კილოგრამია. 1960 წელს ქარხანა გამოუშვებს 40.000 ცალ ასეთ რადიომიმღებს.

## ახალი სამეცნიერო საზოგადოება

გასული წლის დამდეგს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა შექმნა ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტი. მას შემდეგ განვლილ დროში კომიტეტმა შეასრულა გარკვეული მოსამზადებელი მუშაობა.

ამას წინათ გაიმართა ამ საზოგადოების დამფუძნებელი ყრილობა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ნ. ბერძენიშვილმა ყრილობას მოახსენა საზოგადოების მიზნები და ამოცანები.

საზოგადოება მოწოდებულია ხელი შეუწყოს ისტორიის მეცნიერების და მასთან დაკავშირებული ცოდნის სხვა დარგების შემდგომ განვითარებას.

კამათში გამოვიდნენ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი გ. ბერძული, პროფესორი მ. ჩიქოვანი, თერჯოლის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ა. ბუცხრიკიძე და სხვები, რომლებმაც შეიტანეს კრიტიკული შენიშვნები წესდების პროექტის გამო და წარმატება უსურვეს მუშაობაში ახალ სამეცნიერო ორგანიზაციას.

ყრილობამ აირჩია ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდიუმი შვიდი კაცის შემადგენლობით. საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი. (საქდესი).

## საბჭოთა კავშირ-ალბანეთის მეგობრობის საღამო თბილისში

საქართველოს მშრომელებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აღნიშნეს ფაშისტური ოკუპანტებისაგან ალბანეთის განთავისუფლების 15 წლისთავი. ალბანელი ხალხის ცხოვრების ამ ისტორიულ თარიღს მიეძღვნა საზეიმო საღამო, რომელიც გაიმართა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში. საღამოზე მოვიდნენ თბილისის საწარმოთა მუშები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, საბჭოთა არმიის წარმომადგენლები, მოსწავლე ახალგაზრდობა.

მოხსენება სახელოვანი წლისთავის — ალბანეთის განთავისუფლების დღის შესახებ გააკეთა „სსრ კავშირ-ალბანეთის" საზოგადოების გამგეობის წევრმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ხორავამ. მან ილაპარაკა ალბანელი ხალხის ბრძოლაზე ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, განთავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. განაგრძობს რა ბედნიერი მომავლისათვის მებრძოლთა გმირულ გზას, ალბანელი ხალხი ალბანეთის მარქსისტულ-ლენინური შრომის პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებით იბრძვის სოციალიზმის აშენებისათვის.

მომხსენებელმა მოიყვანა მკაფიო ციფრები, ფაქტები, რომლებიც ახასიათებენ ალბანეთის წარმატებებს, რაც მოპოვებულია სახალხო ხელისუფლების დამყარების შემდგომ წლებში. მან ილაპარაკა იმ უანგარო დახმარებაზე, რასაც საბჭოთა კავშირი უწევს ალბანეთს, საბჭოთა და ალბანელი ხალხების ურღვევ მეგობრობაზე.

დამსწრეთ ალბანეთში მოგზაურობის შესახებ საინტერესო მოგონებები გაუზიარა პოეტმა ი. ნონეშვილმა. ალბანელ ხალხს, თქვა მან, საბჭოთა კავშირთან მეგობრობა მიაჩნია ყველა თავის გამარჯვებათა საფუძვლად და აცხადებს, რომ თვალისჩინივით დაიცავს ამ მეგობრობას.

(საქდესი).



ალალი მასპინძელი

ფოტოეტიუდი ბ. დადვაძისა.

## საზღვარგარეთ

### „ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკაში"

#### კინოფილმი. გამოფენა

ვენა, 30 ნოემბერი. (საქდესი). გუშინ ვენის ერთ-ერთ უდიდეს კინოთეატრ „ურანიაში" გაიმართა პრემიერა საბჭოთა დოკუმენტალური ფილმისა „ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკაში". კინოთეატრის დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. ფილმის დემონსტრაციის შემდეგ მაყურებლები დიდხანს და მხურვალედ უკრავდნენ ტაშს.

პარიზი, 30 ნოემბერი. (საქდესი). სსრ კავშირის საელჩომ საფრანგეთში დღეს საღამოს მოაწყო გასინჯვა ფილმისა „ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკაში" ფრანგი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის. ფილმმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და დამსწრეთა მოწონება გამოიწვია.

პრაღა, 30 ნოემბერი. (საქდესი). პრაღაში დაიხურა ფოტოგამოფენა „ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკის შეერთებულ შტატებში". პრაღის მცხოვრებლებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს გამოფენისადმი. 10 დღეში გამოფენა ინახულა დაახლოებით 35 ათასმა კაცმა.

გამოფენას უჩვენებენ აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

### ჟენევის თათბირზე

ჟენევა, 30 ნოემბერი. (საქდესი). დღეს სამი სახელმწიფოს თათბირზე ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების შემუშავების გამო მიიღეს ხელშეკრულების მესამე დანართის ტექსტი.

მიღებული დანართი ითვალისწინებს, რომ მას შემდეგ, რაც სსრ კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი ხელს მოაწერენ ხელშეკრულებას, შეიქმნება მოსამზადებელი კომისია ამ სახელმწიფოთა წარმომადგენლების შემადგენლობით. ამ კომისიამ, რომელსაც უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილებანი თავის სამ მონაწილეს შორის შეთანხმებით, უნდა განახორციელოს მოსამზადებელი მუშაობა ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების დაცვისადმი კონტროლის სისტემის შესაქმნელად. მოსამზადებელმა კომისიამ, კერძოდ, უნდა გამოიტანოს რეკომენდაციები საკონტროლო პოსტების განლაგების, მათი მშენებლობისა და შესაბამისი აპარატურით მომარაგების შესახებ. იგი აგრეთვე მოამზადებს რეკომენდაციებს იმის შესახებ, თუ როგორ მოაწყონ და როგორ გამოიყენონ ხელშეკრულების თავდაპირველ მონაწილეთა თვითმფრინავები ოკეანეების თავზე რეგულარული საკონტროლო ფრენისათვის და გემების შესახებ, რომლებსაც გამოიყენებენ როგორც საკონტროლო პოსტებს წყალთა სივრცეებში. მოსამზადებელი კომისია შეიმუშავებს მოთხოვნებსა და წესებს საკონტროლო ორგანიზაციის პერსონალის შედგენის შესახებ.

შემდგომ ეტაპზე, მას შემდეგ, რაც ხელშეკრულებას დაამტკიცებენ საბჭოთა კავშირი, შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი, გათვალისწინებულია გაფართოვდეს მოსამზადებელი კომისიის შემადგენლობა სსრ კავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს შორის შეთანხმების საფუძველზე ოთხი სხვა სახელმწიფოს კოოპტაციის გზით. ამგვარად გაფართოებული მოსამზადებელი კომისია თავის მუშაობაში იხელმძღვანელებს პროცედურის წესებით, რომლებიც გათვალისწინებულ იქნება საკონტროლო კომისიისათვის.

აქაურ ჟურნალისტთა წრეებში კმაყოფილებით აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ თათბირი წინ მიიწევს ხელშეკრულების შეთანხმების საქმეში.

## დაობენ ლეიბორისტები

### ინგლისის ლეიბორისტული პარტიის ყოველწლიური კონფერენცია

ბლეკპული, 29 ნოემბერი. საქდესის სპეციალური კორესპონდენტი მ. ფედოროვი იუწყება:

დღეს ბლეკპულში მუშაობა დაამთავრა ინგლისის ლეიბორისტული პარტიის ყოველწლიურმა კონფერენციამ, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა. ისე როგორც გუშინდელ სხდომაზე, დღესაც კონფერენციაზე მწვავე შეტაკება მოხდა იმის გამო, თუ რა დასკვნები უნდა გააკეთოს ლეიბორისტულმა პარტიამ პარლამენტის სამი უკანასკნელი — 1951 წლის, 1955 წლისა და 1959 წლის არჩევნებში დამარცხებიდან.

კონფერენციის მთელმა რიგმა დელეგატებმა, მათ შორის შავი მუშებისა და კომუნალური მეურნეობის მუშების ეროვნული პროფკავშირის გენერალურმა მდივანმა უილიამსონმა, ლორდმა პაკენჰემმა და სხვებმა, მხარი დაუჭირეს პარტიის ლიდერის გეიტსკელის წინადადებას იმის შესახებ, რომ ლეიბორისტებმა პრაქტიკულად უარი თქვან მრეწველობის ნაციონალიზაციის იდეაზე, რათა გადაიბირონ წვრილი ბურჟუაზია. მაგრამ დელეგატების უმრავლესობამ გადაჭრით დაგმო გეიტსკელის ცდები დაეყენებინა პარტია ესოდენ აშკარა ოპორტუნიზმის გზაზე.

პარლამენტის წევრმა ზილიაკუსმა განაცხადა, რომ სრულიად არ ეთანხმება გეიტსკელის მტკიცებას, რომ თითქოს ლეიბორისტულმა პარტიამ ინგლისელ ამომრჩევლებს პარლამენტის წარსულ არჩევნებში წარუდგინა „ჩინებული" პროგრამა. ორატორმა დასცინა გეიტსკელის მიერ კონფერენციის გუშინდელ სხდომაზე განვითარებულ თეორიას ინგლისის კაპიტალიზმის ევრეთწოდებული „პროგრესული განვითარების" შესახებ. ზილიაკუსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კაპიტალიზმი ინგლისში კვლავ მოასწავებს უმუშევრობასა და უდიდესი სახსრების ხარჯვას შეიარაღებაზე. შეეხო რა საერთაშორისო პრობლემებს, ზილიაკუსმა გააკრიტიკა ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობის დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი. ერთი მხრივ, განაცხადა მან, ლეიბორისტულ პარტიას საბჭოთა კავშირი მიაჩნია პოტენციურ მოწინააღმდეგედ, მეორე მხრივ — შესაძლო პარტნიორად. ასეთი საწინააღმდეგო პოლიტიკა საშუალებას არ აძლევს პარტიას მოითხოვოს სამხედრო ხარჯების შემცირება, რათა განთავისუფლებული სახსრები გამოყენებულ იქნას მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. ორატორმა მოუწოდა ლეიბორისტულ პარტიას ბოლო მოუღოს საბჭოთა კავშირისადმი უნდობლობის „სულელურ და თვითმკვლელობის" პოლიტიკას და შეცვალოს იგი მშვიდობისა და სსრ კავშირთან თანამშრომლობის პოლიტიკით. მან აზრი გამოთქვა აგრეთვე რომ ინგლისმა უარი თქვას ატომურ შეიარაღებაზე და რომ ამერიკის სამხედრო ბაზები სამუდამოდ მოისპოს ინგლისის მიწა-წყალზე.

პარლამენტის წევრმა უილიამ გრიფიტსმა, დაიცვა რა მრეწველობის რაციონალიზაციის იდეა, გააცხადა, რომ თუ ლეიბორისტული პარტიის ლიდერები შეეცდებიან საბოლოოდ გამოშიგნონ მისი პროგრამა ისე, რომ იგი დაკარგავს „ყოველგვარ სოციალისტურ შინაარსს", „ლეიბორისტული მოძრაობა მოიშორებს ასეთ ლიდერებს".

დელეგატმა ფრედ სინგლტონმა დაგმო პარტიაში დანერგილი ტენდენცია, რომ ბოლო მოეღოს სოციალისტურ ფილოსოფიას, რათა გადაიბიროს მერყევ ამომრჩეველთა ხმები.

„სოციალიზმის გამარჯვებისათვის" ჯგუფის თავმჯდომარემ პარლამენტის წევრმა სუინგლერმა აღნიშნა, რომ საჭიროა „აღორძინდეს სოციალიზმის რწმენა" ინგლისში. უმუშევრობის ლიკვიდაცია ინგლისში და შეიარაღების ხარჯების შემცირება, თქვა მან, შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როცა ინგლისის ეკონომიკას გადაიყვანენ გეგმიან საფუძველზე. სუინგლერმა მოუწოდა პარტიას გადაჭრით დაუჭიროს მხარი მშვიდობას, კოლონიური ხალხების თავისუფლებას, ადამიანთა თანასწორუფლებიანობას.

დიდი ყურადღებით და ინტერესით მოისმინეს კონფერენციის დელეგატებმა ტრანსპორტისა და არაკვალიფიციური მუშების პროფკავშირის გენერალური მდივნის ფრენკ კაზენსის სიტყვა. დაგმო რა გეიტსკელის მოწოდება უარი თქვან ნაციონალიზაციის იდეაზე, ორატორმა დელეგატთა ტაშის გრიალში განაცხადა, რომ „უნაციონალიზაციოდ სოციალიზმი შეუძლებელია". ვინც ამ იდეის წინააღმდეგ ილაშქრებს, თქვა კაზენსმა, იგი ზიანს აყენებს ლეიბორისტულ მოძრაობას. ორატორმა გამოთქვა იმედი, რომ ლეიბორისტული პარტია არ გაჰყვება გეიტსკელის მოწოდებას.

კონფერენციის დელეგატებმა აირჩიეს პარტიის აღმასკომი.

ბევრისათვის მოულოდნელი იყო აღმასკომის ყოფილი წევრის იან რიკარდოს დამარცხება, რომლის ნაცვლად აირჩიეს ვეჯვუდ ბენი.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერის მოადგილე ენიურინ ბივენი კვლავ აირჩიეს ხაზინადრად.

აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია დ. ბრინჰემი, ვიცე-თავმჯდომარედ — პარლამენტის წევრი რ. კროსმენი.

ლეიბორისტული პარტიის კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა ისე, რომ არ მიუღია რაიმე პოლიტიკური რეზოლუცია. ფიქრობენ, რომ პარტიის ხელმძღვანელობა ახალი პარტიული პროგრამის შემუშავების დროს გაითვალისწინებს კონფერენციაზე გაკეთებულ შენიშვნებს. როგორც აქ მოელიან, პროგრამის შემდგომი მომზადება ისე არ ჩაივლის, რომ სერიოზული ბრძოლა არ მოხდეს სხვადასხვა დაჯგუფებას შორის ინგლისის ლეიბორისტულ მოძრაობაში.

## 150 მეცნიერი მოითხოვს...

ბერლინი, 30 ნოემბერი. (საქდესი). 150-ზე მეტმა ცნობილმა დასავლეთგერმანელმა და უცხოელმა მეცნიერმა დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგს მიმართა მოწოდებით, რომელშიც აღნიშნავენ ატომური შეიარაღებისა და ფაშიზმის აღორძინების საფრთხეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. როგორც ადნის სააგენტო იუწყება, „კვლევის თავისუფლების დამცველ გერმანელ მეცნიერთა საზოგადოებაში" შემავალი მეცნიერები მოუწოდებენ დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის დეპუტატებს მიიღონ გადაწყვეტილებანი: უარი თქვან ბუნდესვერის ატომურ შეიარაღებაზე, აუკრძალონ ნაცისტური პარტიის ყოფილ აქტივისტებს პოლიტიკური საქმიანობა და დაუყოვნებლივ გამოიკვლიონ გადასახლებულთა ნეოფაშისტური ხასიათის ორგანიზაციების საქმიანობა.

მიმართვის ავტორები მოუწოდებენ ბუნდესტაგს დაავალოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან იმ მიზნით, რომ განიხილონ ორივე სახელმწიფოს შორის თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესაძლებლობანი და გერმანიის მომავალი საზავო ხელშეკრულების პრინციპები.

„კვლევის თავისუფლების დამცველ გერმანელ მეცნიერთა საზოგადოება" თავის მოწოდებაში აღნიშნავს აგრეთვე, რომ გაძლიერდა ფაშისტური ტენდენციები დასავლეთ გერმანიაში და რომ ამასთან დაკავშირებით ახშობენ მოსახლეობის დემოკრატიულ უფლებებსა და მეცნიერების თავისუფლებას.

## ვინ მოიგო „ვოლგა"?

სოხუმში დამთავრდა საქართველოს 1959 წლის მეოთხე გამოშვების ფულისა და ნივთების ლატარიის მოგებათა ტირაჟი.

გუშინ, ტირაჟის მეორე დღეს, გათამაშდა ავტომანქანა „ვოლგა". როგორც სოხუმიდან ტელეფონით გადმოგვცეს, იგი ხვდა ლატარიის 20729 სერიის № 226 ბილეთს. ფულადი მოგება 5.000 მანეთის რაოდენობით ხვდა 23175 სერიის № 22 ბილეთის მფლობელს, ავტომანქანა „მოსკვიჩი" — 20117 სერიის № 66 ბილეთს და სხვ. სულ გათამაშდა 2.250.000 მანეთის ფულისა და ნივთების მოგება.

მოგებათა ცხრილი გამოქვეყნდება რესპუბლიკური გაზეთების უახლოეს ნომრებში.

## იაპონელი ხალხი ამას არ მოითმენს

ტოკიო, 30 ნოემბერი. (საქდესი). გაზეთი „აკახატა" დღეს ბეჭდავს სტატიას, რომელშიც მკვეთრად გმობს მთავრობის რეპრესიულ ღონისძიებებს იმ პროფკავშირული ორგანიზაციების მიმართ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 27 ნოემბრის მასობრივ საპროტესტო დემონსტრაციაში იაპონია-ამერიკის „უშიშროების ხელშეკრულების გადასინჯვის წინააღმდეგ.

პოლიციამ გამოიყენა ყბადაღებული კანონი საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის შესახებ, რომელიც ერთსულოვნად დაგმო იაპონელმა ხალხმა როგორც კონსტიტუციის საწინააღმდეგო, და 29 ნოემბერს თავს დაესხა იაპონიის პროფკავშირთა გენერალური საბჭოს, ტოკიოს პროფკავშირთა საქალაქო საბჭოს და მთელი რიგი დარგობრივი პროფკავშირული გაერთიანებების შენობებს, მოახდინა იქ ჩხრეკა და პროფკავშირული დოკუმენტების კონფისკაცია.

„აკახატამ" ხელისუფალთა ეს მოქმედება დაახასიათა როგორც მუშათა კლასის დემოკრატიულ თავისუფლებათა და უფლებათა გათელვა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ რეპრესიების მიზანია დააშინონ მუშათა კლასი, გატეხონ მისი წინააღმდეგობა და გათიშონ იმ მებრძოლი ძალების გაერთიანებული ფრონტი, რომლებიც იბრძვიან მთავრობის პოლიტიკის, ანტიხალხური და ანტიეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ. გაზეთი მოუწოდებს იაპონელ ხალხს წინააღმდეგობა გაუწიოს რეაქციის შეტევას, გააძლიეროს ბრძოლა მშვიდობიანი, დემოკრატიული და დამოუკიდებელი იაპონიისათვის.

## რეიმსი—თბილისი

### გამოუყენებელ შესაძლებლობათა მატჩი

#### რაიმონდ კოპა უკმაყოფილოა მსაჯის მოქმედებით

თბილისელმა ფეხბურთელებმა პირველ მატჩში „რესინგთან" მოხიბლეს პარიზი, ფრანგების სიმპათია დაიმსახურეს, გამარჯვებულებმა დატოვეს „პარკ დე-პრენსის" სტადიონი.

და ამის შემდეგ, ბუნებრივია, სპორტის ფრანგ მესვეურებს დიდი საზრუნავი გაუჩნდათ. საჭირო იყო პრესტიჟის აღდგენა, რევანშის აღება. ეს საქმე მათ საფრანგეთის არაერთგზის ჩემპიონსა და თასის მფლობელს, ცნობილ კლუბს „რეიმსს" დააკისრეს.

თბილისის „დინამო" მოედანზე გამოდის შემადგენლობით: კოტრიკაძე, კესარევი, თორაძე, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, ცარევი, შაპოვალოვი, იამანიძე, კალოევი, ღოღობერიძე, მესხი.

„რეიმსი": კოლონა, ვენდლინგი, ჟონკე, როძიკი, ლებლონი, სიატკა, ლიბაელი, მილერი, ფონტენი, პიანტონი, ვენსანი. მის რიგებში საფრანგეთის ეროვნული ნაკრების 8 მოთამაშეა.

თამაში ორმხრივი იერიშებით დაიწყო, ტემპი თანდათან მატულობდა, მეკარეები კოლონა და კოტრიკაძე მთელი დატვირთვით ჩაებნენ ასპარეზობაში, მათ მოიგერიეს რამდენიმე სახიფათო ბურთი.

თანდათანობით ინიციატივა ხელთ იგდეს თბილისელებმა. მათი იერიშები ძირითადად ფლანგებიდან ხორციელდებოდა, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმისათვის ცენტრში ზ. კალოევი ჩაკეტილი აღმოჩნდა, მას ფეხდაფეხ დასდევდა ცნობილი მცველი, საფრანგეთის ეროვნული ნაკრების წევრი ჟონკე.

მიუხედავად ამისა ზ. კალოევს ჰქონდა ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობები, მაგრამ ეს მომენტები გამოუყენებელი აღმოჩნდა. მაგალითად, ცენტრში გათამაშებული კომბინაციის შემდეგ 22-ე წუთზე კალოევი გაუსხლტა მეტოქეს, იგი პირისპირ აღმოჩნდა მეკარესთან, თითქოს უდავო გოლი უნდა ყოფილიყო, მაგრამ სინანულით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამჯერად დინამოელი სნაიპერი მოწოდების სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდა, დაიკარგა ანგარიშის გახსნის საუკეთესო შესაძლებლობა.

მასპინძლებმა კონტრთამაში შექმნეს. განსაკუთრებით აგრესიულად იბრძოდნენ გარემარბები, ხოლო ცენტრში თბილისელთათვის ცნობილი ფონტენი. 8 წუთის შემდეგ რეიმსელთა მიერ მარჯვენა ფრთიდან გათამაშებული კომბინაცია მარჯვენა გარემარბის შეუჩერებელი დარტყმით და გოლით დამთავრდა. ანგარიშია 1:0 „რეიმსის" სასარგებლოდ.

კვლავ თავი იჩინა დინამოელთა ტერიტორიულმა უპირატესობამ. ისინი მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედნის ხშირი სტუმრები იყვნენ. ტაიმის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე კალოევი ერთხელ კიდევ აღმოჩნდა მეკარის პირისპირ და აქაც დაიკარგა შესაძლებლობა, ახლო მანძილიდან ბურთი აცდა კარს.

შეჯიბრების მეორე ნახევარში მარჯვენა გარემარბი შაპოვალოვი თ. მელაშვილმა შეცვალა. თბილისელებს ჰქონდათ არა მარტო ანგარიშის გათანაბრების, არამედ მატჩის მოგების შესაძლებლობა, მაგრამ იამანიძემ, კალოევმა, მესხიმ დაკარგეს ხელსაყრელი მომენტები.

ამას ისიც დაემატა, რომ როგორც მთავარი, ისე გვერდითი მსაჯები არაობიექტურად სჯიდნენ, აჩერებდნენ თბილისელთა იერიშებს, აჯარიმებდნენ დინამოელებს მაშინ, როდესაც ეს პირიქით უნდა მომხდარიყო.

და აი თამაშის უკანასკნელი წამებია, ამოიწურა დროც, გაისმა მსაჯის საფინალო სასტვენის ხმა და დინამოელთა კარში მეორე ბურთი აღმოჩნდა.

თამაშის დამთავრების შემდეგ გვიან ღამით დავუკავშირდით რეიმსში რადიოკომენტატორს ვ. სინიავსკის, რომელმაც ამ მატჩისა და მისი საბოლოო შედეგის შესახებ გვაცნობა:

გაკვირვებით მინდა აღვნიშნო ამ მატჩის უცნაური მსაჯობა, რაშიაც ბრალი მიუძღვის მთავარ მსაჯს დებანს (საფრანგეთი). შეიძლება ითქვას, რომ მან საინტერესო თამაში გააფუჭა უსაფუძვლო ჯარიმებით, აშკარა მიკერძოებით.

ბოლოს, როდესაც გასახდელში ჩავედით, გამოირკვა, რომ მატჩი დამთავრდა 1:0 „რეიმსის" სასარგებლოდ, მაშასადამე მეორე ბურთი არ იქნა ჩათვლილი და არც შეიძლებოდა ჩათვლილიყო, როგორც ძირითადი დროს შემდეგ გატანილი.

საქართველოს სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელმა გ. სიხარულიძემ პროტესტი განაცხადა არაობიექტური სჯისათვის, რაზედაც „რეიმსის" ხელმძღვანელობამაც სინანული გამოთქვა.

მატჩის შემდეგ მე მქონდა საუბარი ცნობილ ფეხბურთელ კოპასთან, რომელიც ამ დღეს არ თამაშობდა. მან მიპასუხა: ეს ფეხბურთი არ არის. დღეს თერთმეტი თბილისელის წინააღმდეგ 12 მოწინააღმდეგე იბრძოდა.

მორიგი შეჯიბრება დინამოელებს ექნებათ პარიზში 8 დეკემბერს საფრანგეთის პირველობის გათამაშების ლიდერთან „ნიმთან".

## აზიის ქვეყნების საჭადრაკო ტურნირის შედეგები

ტაშკენტი, 30 ნოემბერი, (საქდესი). დღეს ტაშკენტში საზეიმო ვითარებაში დაიხურა აზიის ქვეყნების პირველი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. ორი კვირის დაძაბული ბრძოლის შემდეგ ადგილები ასე განაწილდა. პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს უზბეკმა მოჭადრაკეებმა ა. გრუშევსკიმ და მ. მუხიტდინოვმა, მესამე და მეოთხე — გაიყვეს დიდოსტატმა ა. ლილიენტალმა (რუსეთის სფსრ) და მომომ (მონღოლეთი). შემდეგ ადგილებზე არიან ა. ბახტიარი (ინდონეზია), ნ. გუსევი (ტაჯიკეთი), ბ. კატალიმოვი (ყაზახეთი), მ. ნურმამედოვი (თურქმენეთი), მ. სარვაროვი (უზბეკეთი), ი. კრუტიხინი (ყირგიზეთი), ლ. ბარენბაუმი (უზბეკეთი), მიაგმარსურენი (მონღოლეთი) და ლიმ ხონგ გიე (ინდონეზია).

ტურნირის მონაწილენი, რომელთაც პირველი სამი ადგილი დაიკავეს, დაჯილდოვდნენ უზბეკეთის საჭადრაკო-სასპორტო ფედერაციის პრიზებით და დიპლომებით. დაწესებული იყო გაზეთების რედაქციებისა და სასპორტო ორგანიზაციების სპეციალური პრიზები. პრიზები მიეკუთვნათ: ა. ლილიენტალს — უკანასკნელ ხუთ ტურში საუკეთესო შედეგისათვის, მიაგმარსურენს — ოსტატებთან შეხვედრებში ახალგაზრდა მოჭადრაკის საუკეთესო შედეგისათვის, აროვან ბახტიარს — ულამაზესი პარტიისათვის. მომომ მიიღო პრიზი საბჭოთა მოჭადრაკეებთან შეხვედრებში საუკეთესო შედეგისათვის, ბ. კატალიმოვმა — პრიზიორებთან შეხვედრებში საუკეთესო შედეგისათვის, ა. გრუშევსკიმ — პირველ ხუთ ტურში საუკეთესო შედეგისათვის.

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

## თბილისის თეატრებსა და კინოებში

### 2 დეკემბერი

ოპერისა და ბალეტის — აიდა (მე-13 აბონ. მე-3 წარმ., ზურაბ ანჯაფარიძის მონაწილეობით), რუსთაველის სახელობის — ყვარყვარე თუთაბერი, გრიბოედოვის სახელობის — შორეული გამოძახილი (1-ლი აბონ. მე-2 წარმ.), მოზარდ მაყურებელთა ქართული — სომბრერო (აბონ. № 12, 10 ს.), თოჯინების ქართული — ზარმაცი კიკო (11 ს.), შვლის ნუკრი (2 ს.), რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზი — მიხეილ ალექსანდროვიჩის კონცერტი (ტენორი).

* * *

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ისანი, სპარტაკი, საქართველო (მწვანე დარბაზი), პლეხანოვის სახელობის კლუბი — ახალგაზრდა მეწისქვილე, თბილისი — ცეკვის მასწავლებელი, კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი — „6-8", 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), საქართველო (წითელი დარბაზი), ძერჟინსკის სახელობის კლუბი (საზამთრო), დიდუბე, ყაზბეგი — მისი თაობა.

## რადიო

### 2 დეკემბერი

#### პირველი პროგრამით

11.00 — რადიოგადაცემა — „ლაპარაკობს სოხუმი", 11.15 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 12.15 — ნიკოლოზ ნარიმანიძე. „მშობლიური ჰანგები", 12.45 — ალექსანდრე ნოვიკოვის სიმღერები, 17.20 — კამერული მუსიკა, 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. ი. ვალენტინოვის მოთხრობა „ბრძოლა ტბაზე", 18.05 — ოსური მუსიკა, 18.45 — პოლ დიუკა. „ჯადოქარის მოწაფე", 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.45 — გადაცემა მრეწველობის თემაზე, 20.20 — კონცერტი რადიომსმენელთა დაკვეთით, 21.00 — საუბარი „კომუნიზმი და პიროვნების ყოველმხრივი განვითარება", 21.20 — კონცერტი ქართული ხელოვნების ოსტატთა შესრულებით, 22.00 — რადიოჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება" № 23.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

უე 05918

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.